საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო


დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

ჯანმრთელობის დაცვა

სტატისტიკური ცნობარი

საქართველო

2015



თბილისი
2016

ცნობარი მომზადებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროების და სხვა უწყებების სამედიცინო

დაწესებულებების სტატისტიკური ანგარიშების საფუძველზე. ცნობარში გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დემოგრაფიული მონაცემები.

ცნობარი მომზადდა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ.

ავტორთა ჯგუფი:

ა. გამყრელიძე
მ. კერესელიძე
მ. ცინცაძე
ქ. ღამბაშიძე
მ. შახნაზაროვა
ნ. ცეცხლაძე
ნ. გრძელიძე
ი. კოჩაროვა
მ. გელოვანი

გამოქვეყნებული მასალებით სარგებლობის და მათი რეპროდუქციისთვის სპეციალური ნებართვა საჭირო არ არის. სასურველია წყაროს მითითება.

გამოცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმართეთ შემდეგ მისამართზე:

თბილისი, ასათიანის ქ. №9, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

ტელეფონი: (995 32) 239 80 49, დამატებითი 217, 205

E-mail: statistics@ncdc.ge

ცნობარი განთავსებულია: www.ncdc.ge

ცნობარი გაიცემა უფასოდ

წინასიტყვაობა

სტატისტიკური ცნობარი "ჯანმრთელობის დაცვა" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ყოველწლიური გამოცემაა, რომელშიც წარმოდგენილია ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის და ჯანდაცვის რესურსების ამსახველი ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლები. ცნობარი გამოიცემა 1996 წლიდან.

ცნობარი მომზადებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ დარგობრივი სტატისტიკური ანგარიშგების საფუძველზე.

მონაცემები წარმოდგენილია ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაციის მე-10 გადახედვის შესაბამისად.

ცნობარში მოყვანილი მაჩვენებლების გამოსათვლელად გამოყენებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგია, რაც განაპირობებს საქართველოს მაჩვენებლების შედარებადობას სხვა ქვეყნების მაჩვენებლებთან.

ცნობარში წარმოდგენილია მდგრადი განვითარების მიზნები, ათასწლეულის განვითარების საქართველოს მიზნები და ინდიკატორები, განხილულია მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მაჩვენებლები და მონაცემები და მაჩვენებლები გადამდები და არაგადამდები დაავადებების კლასების მიხედვით: ინფექციური და პარაზიტული, ონკოლოგიური, სისხლის მიმოქცევის სისტემის, ენდოკრინული, სუნთქვის ორგანოთა, შარდსასქესო სისტემის, ფსიქიური და ქცევითი აშლილობები და სხვა.

შინაარსი

თავი 1	**ათასწლეულის განვითარების მიზნებიდან მდგრადი განვითარების მიზნებისკენ**	**9**
	ათასწლეულის განვითარების მიზნები	
	მდგრადი განვითარების მიზნები	
	„ჯანმრთელობა 2020“	
	არაგადამდებ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის გლობალური მონიტორინგის მიზნები და ინდიკატორები	
	ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ათასწლეულის განვითარების მიზნების შესრულების შეფასება საქართველოში	
	0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა	
	12-23 თვის ასაკის ბავშვთა წითელას საწინააღმდეგო აცრით მოცვა	
	დედათა სიკვდილიანობა	
	კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მიერ მიღებული მშობიაროზების ხვედრითი წილი	
	კონტრაცეპციის გავრცელების დონე	
	მოზარდთა შობადობის მაჩვენებელი	
	ანტენატალური მომსახურებით მოცვა	
	ოჯახის დაგეგმვის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება	
	აივ ინფექციის გავრცელება 15-24 წლის ასაკის მოსახლეობაში	
	აივ ინფექციის მქონე იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომელთაც ხელი მიუწვდებათ ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზე	
	მალარიის ინციდენტობა და სიკვდილიანობის მაჩვენებელი	
	ტუბერკულოზის ინციდენტობა, პრევალენტობა და სიკვდილიანობის მაჩვენებელი	
თავი 2	**დემოგრაფია**	**31**
	მოსახლეობა	
	შობადობა	
	სიკვდილიანობა	
	ბუნებრივი მატება	
	სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა	
თავი 3	**მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება**	**39**
	ჯანდაცვის სისტემის კადრები	
	ჯანდაცვის ქსელი	
	საყოველთაო ჯანდაცვა	
	დანახარჯები ჯანდაცვაზე	
თავი 4	**მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა**	
	ინფექციური ავადმყოფობები	**48**
	ფილტვის და ფილტვგარეშე ტუბერკულოზი	48
	აივ-შიდსი	
	ვირუსული ჰეპატიტი C (HCV)	
	წითელა	
	ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება	
	ცოფი	
	მალარია	
	იმუნიზაცია	
	არაგადამდები ავადმყოფობები	**59**
	შეზღუდული შესაძლებლობით გატარებული წლების (YLD) 25 ძირითადი მიზეზი	
	სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობა	
	ჰიპერტენზია	
	გულის იშემიური ავადმყოფობა	
	ცერებროვასკულური ავადმყოფობა	
	ავთვისებიანი სიმსივნეები	
	დიაბეტი	
	სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები	
	ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული ავადმყოფობა (COPD)	

თავი 5	**დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა**	**66**
	ორსულობა და მშობიაროზა	
	საკეისრო კვეთა	
	აბორტი	
	დედათა სიკვდილიანობა	
	ცოცხლადშობადობა	
	მკვდრადშობადობა	
	ნეონატალური სიკვდილიანობა	
	0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა ავადობა და სიკვდილიანობა	
	0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა ავადობა და სიკვდილიანობა	
	დაბადების რეგისტრი	
თავი 6	**რისკ-ფაქტორები**	**76**
ცხრილები		**77**
გამოყენებული ლიტერატურა		**177**

ცხრილების სარჩევი

თავი 1 ათასწლეულის განვითარების მიზნებიდან მდგრადი განვითარების მიზნებისკენ

5 წლამდე ასაკის და 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი	ცხრილი 1.1	77
დედათა სიკვდილიანობა	ცხრილი 1.2	77
მოზარდთა შობადობის მაჩვენებელი	ცხრილი 1.3	77
აივ/შიდსის ინციდენტობა	ცხრილი 1.4	77
ტუბერკულოზის გავრცელების მაჩვენებლები	ცხრილები 1.5-1.6	78

თავი 2 დემოგრაფია

მოსახლეობა	ცხრილები 2.1 - 2.3	79-80
შობადობა	ცხრილები 2.4 - 2.9	80-82
სიკვდილიანობა	ცხრილები 2.10 - 2.16	83-87
ბუნებრივი მატება	ცხრილი 2.17	88
სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა	ცხრილი 2.18	88

თავი 3 მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება

ჯანდაცვის სისტემის კადრები	ცხრილები 3.1 - 3.4	89-90
ჯანდაცვის სისტემის ქსელი	ცხრილი 3.5	91
ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებები	ცხრილები 3.6 - 3.7	91
პროფილაქტიკური აცრები	ცხრილები 3.8-3.9	92
ამბულატორულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების ქირურგიული მუშაობა	ცხრილი 3.10	93
სასწრაფო სამედიცინო დახმარება	ცხრილები 3.11-3.13	93-94
სტაციონარული დაწესებულებები და მომსახურება	ცხრილები 3.14-3.18	94-97
ქირურგია	ცხრილები 3.19 - 3.27	97-102
სისხლის დამამზადებელი სამსახური	ცხრილები 3.28- 3.29	104

თავი 4 მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა

ავადობა	ცხრილები 4.1 - 4.5	105-108
ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობები	ცხრილები 4.6 - 4.29	109-119
შეტყობინებას დაქვემდებარებული ავადმყოფობები	ცხრილები 4.8 - 4.9	110-111
ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობების სტაციონარული მომსახურება	ცხრილები 4.10 - 4.12	112-113
ტუბერკულოზი	ცხრილები 4.13 - 4.20	113-117
აივ-შიდსი	ცხრილები 4.21 - 4.24	117-118
ნაწლავური ინფექციები	ცხრილები 4.25- 4.26	118
სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები	ცხრილები 4.27- 4.29	119
არაგადამდები ავადმყოფობები	ცხრილები 4.30 – 4.139	120-169
სიმსივნეები	ცხრილები 4.30 - 4.49	120-125
სისხლის და სისხლმბადი ორგანოები	ცხრილები 4.50-4.56	125-128
ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული ავადმყოფობები	ცხრილები 4.57-4.65	128-132
ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები	ცხრილი 4.66	132
ნერვული სისტემის ავადმყოფობები	ცხრილები 4.67-4.78	133-138
თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები	ცხრილები 4.79-4.87	138-142
ყურისა და დვრილისებრი მორჩის ავადმყოფობები	ცხრილები 4.88-4.93	142-144
სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები	ცხრილები 4.94-4.104	144-149
სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები	ცხრილები 4.105-4.113	150-155
საჭმლის მომნელებელი სისტემის ავადმყოფობები	ცხრილები 4.114-4.119	155-158
შარდ-სასქესო სისტემის ავადმყოფობები	ცხრილები 4.120-4.127	158-162
თანდაყოლილი ანომალიების (განვითარების მანკები), დეფორმაციების და ქრომოსომული დარღვევები	ცხრილები 4.128-4.134	162-166
ტრავმები, მოწამვლები და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი	ცხრილები 4.135-4.139	167-169

თავი 5 დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა	ცხრილები 5.1 - 5.14	170-176

თავი 1.

ათასწლეულის განვითარების მიზნებიდან მდგრადი განვითარების მიზნებისკენ

ათასწლეულის განვითარების სიღარიბის აღმოფხვრაზე მიმართული 8 მიზანი - სიღარიბის, შიმშილის, ავადობის ტვირთის, სქესთა უთანასწორობის შემცირება და წყლისა და სანიტარული პირობების გაუმჯობესების მიღწევა - მიღებულ იქნა 2000 წელს და უნდა მიღწეულიყო 2015 წლისათვის.

ათასწლეულის განვითარების მიზნები

ათასწლეულის განვითარების 8 მიზნიდან 3 ჯანმრთელობის საკითხებს ეხებოდა, თუმცა ჯანმრთელობის კომპონენტი რამდენიმე სხვა მიზანშიც იყო წარმოდგენილი (კვების, სუფთა წყლის და სანიტარიის საკითხები).

1	უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა
2.	დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა მთელ მსოფლიოში
3.	გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებამოსილების გაზრდა
4.	ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება
5.	დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება
6.	აივ/შიდსთან, მალარიასა და სხვა დაავადებებთან ბრძოლა
7.	ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფა
8.	მსოფლიო თანამშრომლობის ჩამოყალიბება



ათასწლეულის განვითარების მიზნებმა ჩამოაყალიბა საერთაშორისო განვითარების და სტიმულირების ისეთი მორალური იმპერატივები, როგორიცაა გენდერული თანასწორობა და სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა, მეტი ძალისხმევა იყო მიმართული განათლებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის განვითარებაზე, მსოფლიოს განვითარების პოლიტიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო ინსტიტუციებისა და დონორთა ჩართულობა. განვლილი 15 წლის გადასახედიდან, ყველა ტენდენციისა და პოზიტიური ძალისხმევის გათვალისწინებით, ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევაში განსაკუთრებული პროგრესი აღინიშნა. განახევრებულ იქნა შიმშილის გლობალური მაჩვენებელი, თითქმის ორჯერ შემცირდა უკიდურესი სიღარიბის დონე, მეტი ბავშვი დადის სკოლაში და გაცილებით ნაკლები ბავშვი კვდება.

მდგრადი განვითარების მიზნები

ამჟამად ქვეყნები მიზნად ისახავენ გასული 15 წლის წარმატებების შენარჩუნებას და შემდგომ წინსვლას, რისთვისაც ჩამოყალიბებულ იქნა 2030 წლისთვის მსოფლიოს პერსპექტიული განვითარების ფართომასშტაბიანი სტრატეგია - მდგრადი განვითარების მიზნები (Sustainable Development Goals - SDGs), რომელსაც 2015 წლის 25 სექტემბერს ნიუ-იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის სამიტზე, გაეროს წევრმა 193 სახელმწიფომ მოაწერა ხელი.

მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები მოახდენს ქმედებათა სტიმულირებას შემდგომი 15 წლის განმავლობაში კაცობრიობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი სფეროების მიხედვით: ადამიანი, პლანეტა, კეთილდღეობა, მშვიდობა, პარტნიორობა.



მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა წარმოადგენს მსოფლიოს განვითარების ახალ უნივერსალურ დღის წესრიგს, რომელიც ეფუძნება ათასწლეულის განვითარების მიზნებს და მიმართულია იმ მიზნების შესრულებაზე, რომელთა მიღწევაც ვერ მოხერხდა. გაეროს სტატისტიკური კომიტეტის მიერ მომზადდა მდგრადი განვითარების გლობალური ინდიკატორების ჩარჩო, რომელიც 2016 წლის მარტში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე დამტკიცდა.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მიზნების განხორციელების ხელმძღვანელ სააგენტოს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია წარმოადგენს. ამგვარად, ის, გაეროს სტატისტიკურ კომიტეტთან ერთად, უზრუნველყოფს მიღწეული პროგრესის შესახებ დეტალიზებული, განახლებული ინფორმაციის ყოველწლიურ მიწოდებას. აღნიშნული ამოცანის ოპტიმალური გადაწყვეტა სხვა სააგენტოებთან (გაეროს ბავშვთა ფონდი, გაეროს მოსახლეობის ფონდი, მსოფლიო ბანკი და სხვა) მჭიდრო, კოორდინირებულ მუშაობაზეა დამოკიდებული.

ჯანმრთელობის საკითხებს ეძღვნება მე-3 მიზანი, რომელიც წარმოდგენილია ერთგვარი ვრცელი სამოქმედო ჩარჩოს სახით. იგი მოიცავს 2030 წლამდე მართვადი სიკვდილიანობის მნიშვნელოვნად შემცირებაზე მიმართულ 13 კონკრეტულ ამოცანას, პირველ რიგში იგულისხმება ჩვილ ბავშვთა, დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა. ასევე დაგეგმილია უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე, რაც ოჯახის დაგეგმვის საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირებულობას და სათანადო განათლებას გულისხმობს.

მე-3 მიზანი მოიცავს მალარიის, აივ/შიდსის, ტუბერკულოზის, ჰეპატიტების, ებოლას ვირუსული დაავადების და სხვა ინფექციური ავადმყოფობების თუ ეპიდემიების წინააღმდეგ ბრძოლის ასპექტებს, მათ შორის ანტიმიკრობული საშუალებების მიმართ მზარდ რეზისტენტობას და განვითარებად ქვეყნებში ხშირად ყურადღების მიღმა დარჩენილ დაავადებებს; არაგადამდები დაავადებების პრევენციისა და მკურნალობის, ქცევითი აშლილობების, განვითარების პათოლოგიებისა და ნევროლოგიური დარღვევების საკითხებს.



მე-3 მიზნის „ჯანმრთელი ცხოვრებისა და კეთილდღეების მიღწევა ყველა ასაკის ადამიანისთვის“ ამოცანები

3.1	2030 წლისთვის დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლის <70 შემცირება 100000 ცოცხალშობილზე
3.2	2030 წლისთვის ყველა ქვეყანაში ჩვილ ბავშვთა და 5 წლამდე ასაკის ბავშვთა მართვადი სიკვდილის შემცირება. ნეონატალური სიკვდილიანობის შემცირების მიზნით ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის 1000 ცოცხალშობილზე 12-მდე, ხოლო 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის 1000 ცოცხალშობილზე 25-მდე შემცირება
3.3	2030 წლისთვის შიდსის, ტუბერკულოზის, მალარიის და იშვიათი ტროპიკული დაავადებების ეპიდემიების გავრცელების შეჩერება, ჰეპატიტის, წყლით გადამდები დაავადებების და სხვა ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება
3.4	2030 წლისთვის არაგამდები დაავადებებით გამოწვეული ნაადრევი სიკვდილიანობის მაჩვენებლის 1/3-ით შემცირება პრევენციის და დროული მკურნალობის, ასევე მენტალური ჯანმრთელობის ხელშეწყობით და კეთილდღეობის დონის ზრდის გზით
3.5	ნარკოტიკული საშუალებების და ალკოჰოლის ჭარბი გამოყენების პრევენციის ღონისძიებების გაძლიერება და წამალდამოკიდებულების მკურნალობა
3.6	2030 წლისთვის სიკვდილის შემთხვევების და საგზაო შემთხვევებით გამოწვეული დაზიანებების რაოდენობების განახევრება
3.7	2030 წლისთვის რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და სქესობრივი ჯანმრთელობის სერვისებზე (ოჯახის დაგეგმვის მეთოდები, ინფორმირებულობა, განათლება და რეპროდუქციული ჯანმრთლობის ინტეგრირება სახელმწიფო პროგრამებში) უნივერსალური/საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
3.8	მიღწეულ იქნას საყოველთაო ჯანდაცვით უნივერსალური მოცვა (ფინანსური რისკებისგან დაცვა, ხარისხიან თანამედროვე სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა, უსაფრთხო, ეფექტური, ხარისხიანი მედიკამენტებსა და ვაქცინებზე ხელმისაწვდომობა ყველასთვის)

3.9	2030 წლისთვის საშიში ქიმიკატებით, ჰაერის, წყლის და ნიადაგის დაბინძურებით განპირობებული სიკვდილის შემთხვევების რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება
3.ა	ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციის დანერგვის ხელშეწყობა ყველა ქვეყანაში
3.ბ	ინფექციური და არაგადამდები დაავადებების, რომლებიც პრობლემას წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნებისთვის, ვაქცინების და მედიკამენტების, მეცნიერული კვლევების და განვითარების მხარდაჭერის გაძლიერება. ესენციური წამლების და ვაქცინების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დოჰას (Doha Declaration on the TRIPS Agreement and Public Health) დეკლარაციის შესაბამისად. დეკლარაცია იცავს განვითარებადი ქვეყნების უფლებას, სრული მოცულობით გამოიყენონ ინტელექტუალური საკუთრება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით და კონკრეტულად უზრუნველყონ მედიკამენტებზე საყოველთაო ხელმისაწვდომობა
3.გ	ჯანდაცვის სექტორის დაფინანსების მნიშვნელოვნად გაზრდა. განვითარებად ქვეყნებში, უკიდურესად ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებსა და, განსაკუთრებით, კუნძულებზე განლაგებულ განვითარებად მცირე ქვეყნებში ჯანდაცვის მუშაკების ტრენირების და განვითარების ხელშეწყობა
3.დ	ყველა ქვეყნის, განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნების, პოტენციალის გაძლიერება რისკების შემცირების, დროული რეაგირების და ეროვნული რისკების მართვის კუთხით

ჯანმრთელობა 2020

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ერთგვარ პლატფორმას ჯანმო-ს ევროპის რეგიონის პოლიტიკის ჩარჩო „ჯანმრთელობა 2020“ წარმოადგენს. „ჯანმრთელობა 2020“ პოლიტიკა ინოვაციურია და მიმართულია 4 პრიორიტეტული სფეროს სტრატეგიულ ღონისძიებებზე, სახელმწიფოსა და საზოგადოების ყველა დონისა და დარგის ქმედებებზე, რათა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მოსახლეობის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.

„ჯანმრთელობა 2020“-ს ინდიკატორების სია 2013 წელს შემუშავდა ჯანმო-ს ევროპის რეგიონის 53 წევრი-სახელმწიფოს მიერ.

„ჯანმრთელობა 2020“-ის სამიზნე ორიენტირები და ინდიკატორები

მიმართულება 1	დაავადებათა ტვირთი და რისკ ფაქტორები
ამოცანა 1	2020 წლისთვის ნაადრევი სიკვდილიანობის შემცირება ევროპაში
ძირითადი ინდიკატორი	
1.1.a.	არაგადამდები დაავადებების 4 ძირითადი კლასით (გულ-სისხლძარღვთა დაავადებები [კოდები ICD 10-ით I00-I99], ავთვისებიანი ახალწარმონაქმნები [კოდები ICD 10-ით C00-C97], დიაბეტი [კოდები ICD 10-ით E10-E14] და რესპირატორული დაავადებები [კოდები ICD 10-ით J40-J47]) გამოწვეული ნაადრევი სიკვდილიანობს საერთო სტანდარტიზებული მაჩვენებლები 30-70 წლის ასაკში სქესის მიხედვით. ასევე შემოთავაზებულია საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების (ICD 10-ით კოდები K00-K93) მაჩვენებლის განსაზღვრა.
1.1.b	18 წლის და უფროს ასაკში თამბაქოს ამჟამინდელი მოხმარების (მოიცავს როგორც ყოველდღიურ, არაყოველდღიურ და პერიოდულ მოხმარებას) გავრცელების ასაკსტანდარტიზებული მაჩვენებელი.
1.1.c	კალენდარული წლის განმავლობაში 15 წლის და უფროს ასაკში ერთ სულ მოსახლეზე ალკოჰოლის (ლიტრი სუფთა სპირტი) აღრიცხული და აღურიცხავი მოხმარება. ანგარიშგებით აღრიცხული და შესაძლებლობის ფარგლებში არარეგისტრირებული მოხმარება.
1.1.d	18 წლის და უფროს ასაკში ჭარბწონიანობის (განისაზღვრება, როგორც სხეულის მასის ინდექსი (BMI)≥25 კგ/მ2) და სიმსუქნის (განისაზღვრება, როგორც სხეულის მასის ინდექსი (BMI)≥30კგ/მ2) გავრცელების ასაკსტანდარტიზებული მაჩვენებელი (ობიექტური გაზომვის შედეგების და თვითშეფასების მონაცემები, შესაძლებელია სქესის მიხედვით დაყოფა)
1.2. *a.*	წითელაზე (1 დოზა 2 წლამდე), პოლიომიელიტზე (3 დოზა 1 წლამდე), წითურაზე (1 დოზა 2 წლამდე) ვაქცინირებულ ბავშვთა პროცენტი
1.3.a.	გარეგანი მიზეზებით და დაზიანებებით გამოწვეული სტანდარტიზებული სიკვდილიანობა სქესის მიხედვით

მიმართულება 2	ჯანმრთელი ადამიანები, კეთილდღეობა და დეტერმინანტები
ძირითადი ინდიკატორი	
2.1.	სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას სქესის მიხედვით
3.1.a	ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა ყოველ 1000 ცოცხალშობილზე სქესის მიხედვით
3.1.e.	ჯანმრთელობასთან მიმართებაში უსამართლობის შემცირების ეროვნული და სუბრეგიონულიი ღონისძიებების პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტი განსაზღვრული და შემუშავებულია.
3.1.d.	უმუშევრობის დონე ასაკისა და სქესის მიხედვით
3.1.f.	ჯინი-ს (GINI) კოეფიციენტი (შემოსავლების განაწილება)
4.1.a.	ცხოვრებით კმაყოფილება, ასაკისა და სქესის მიხედვით
4.1.b.	სოციალური მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა

4.1.c.	მოსახლეობის პროცენტული წილი, რომელსაც აქვს გაუმჯობესებული სანიტარული პირობები
4.1.d.	უმუშევრობის დონე ასაკის და სქესის მიხედვით
4.3. f.	სასკოლო ასაკის ბავშვების წილი, რომლებიც არ დადიან სკოლაში, სქესის მიხედვით
მიმართულება 3	**ჯანდაცვის სისტემის სტრატეგიული მართვა**
ძირითადი ინდიკატორი	
5.1.a.	ჯანდაცვის საერთო დანახარჯებში შიდა მეურნეობების მიერ ჯიბიდან გადახდის წილი
5.1.b.	წითელაზე (1 დოზა 2 წლამდე), პოლიომიელიტზე (3 დოზა 1 წლამდე), წითურაზე (1 დოზა 2 წლამდე) ვაქცინირებულ ბავშვთა პროცენტი
5.1. c.	ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯების ხვედრითი წილი მშპ-დან, %
6.1.a	ნაციონალური მიზნობრივი ორიენტირების დადგენის პროცესის ორგანიზება დოკუმენტურად გაფორმებულია (დოკუმენტური მეთოდი შემუშავებულ იქნება თითოეული წევრი სახელმწიფოსთვის).

2015 წლის 30-31 ოქტომბერს, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა გამართა მულტისექტორული სამუშაო შეხვედრა, რომელზეც შემუშავებული იქნა პოლიტიკა "ჯანმრთელობა 2020-სა" და "არაგადამდები დაავადებების პრევენციისა და კონტროლის გლობალური მონიტორინგის ჩარჩო და სამიზნეებზე" დაფუძნებული ეროვნული სამიზნეები და მათი გაზომვის ინდიკატორები, რომელიც წარდგენილ იქნება ჯანმო-ს ევროპის რეგიონულ ბიუროში საერთაშორისოდ შესადარისი ანგარიშგებისთვის.

არაგადამდებ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის გლობალური მონიტორინგის მიზნები და ინდიკატორები

გლობალური მიზნები	ინდიკატორები
1.გულ-სისხლძარღვთა, ონკოლოგიური, ქრონიკული რესპირატორული დაავადებებით და დიაბეტით გამოწვეული სიკვდილიანობის 25%-ით შემცირება	1. 30-70 წლის ასაკში ძირითადი არაგადამდები დაავადებებით (გულ-სისხლძარღვთა, კიბო, ფილტვის ქრონიკული დაავადებები, დიაბეტი) გარდაცვლილთა ხვედრითი წილი
	2. ონკოლოგიურ დაავადებათა ლოკალიზაციის მიხედვით ინციდენტობა 100 000 მოსახლეზე
2.ალკოჰოლის მავნე მოხმარების სულ მცირე 10%-იანი შემცირება	3. კალენდარული წლის განმავლობაში 15 წელზე უფროსი ასაკის მქონე ერთ ადამიანზე მოხმარებული ალკოჰოლის საერთო (რეგისტრირებული და არარეგისტრირებული) რაოდენობა სუფთა ალკოჰოლის მოცულობის ერთეულზე (ლიტრი) გადაანგარიშებით ეროვნული მოთხოვნების შესაბამისად

გლობალური მიზნები	ინდიკატორები
	4. ალკოჰოლის ჭარბი ეპიზოდური მოხმარების ასაკ-სტანდარტიზებული პრევალენტობა მოზარდთა და მოზრდილთა შორის ეროვნული მოთხოვნების შესაბამისად
	5. ალკოჰოლთან დაკავშირებული ავადობა და სიკვდილიანობა მოზარდთა და მოზრდილთა შორის ეროვნული მოთხოვნების შესაბამისად
3.დაბალი ფიზიკური აქტივობის მაჩვენებლის საშუალოდ 10%-ით შემცირება	6. . მოზარდთა დაბალი ფიზიკური აქტივობის პრევალენტობა, რაც განისაზღვრება როგორც ყოველდღიურად 60 წუთზე ნაკლები საშუალო ან ძლიერი ინტენსივობის აქტივობა
	7. 18 წელზე უფროსი ასაკის მოზრდილთა არასაკმარისი ფიზიკური აქტივობის (150 წუთზე ნაკლები საშუალო ინტენსივობის აქტივობა ყოველკვირეულად) ასაკ-სტანდარტიზებული პრევალენტობა
4.მარილის მოხმარების საშუალო მაჩვენებლის 30%-ით შემცირება	8. 18 წელზე უფროსი ასაკის მოზრდილი პოპულაციის მიერ ყოველდღიურად მოხმარებული მარილის (გრამებში) ასაკ-სტანდარტიზებული საშუალო მაჩვენებელი
5.15 წელზე უფროსიასაკის მოსახლეობაში თამბაქოს მოხმარების გავრცელების 30%-იანი შემცირება ეროვნულ დონეზე არსებული გარემოებების გათვალისწინებით	9. თამბაქოს მოხმარების პრევალენტობა მოზარდთა შორის
	10. თამბაქოს მომხმარებელთა ასაკ-სტანდარტიზებული მაჩვენებელი 18 წელზე უფროსი ასაკის მოზრდილებში
6. მომატებული არტერიული წნევის პრევალენტობის საშუალოდ 25%-იანი შემცირება	11. 18 წელზე უფროსი ასაკის მოზრდილებში მომატებული არტერიული წნევის (სისტოლური წნევა ≥140 მმ.ვწყ.სვ. და/ან დიასტოლური წნევა ≥90 მმ.ვწყ.სვ.) და საშუალო სისტოლური წნევის ასაკ-სტანდარტიზებული პრევალენტობა
7. დიაბეტისა და სიმსუქნის გავრცელების არსებული მაჩვენებლების შენარჩუნება	12. 18 წელზე უფროსი ასაკის მოზრდილებში სისხლში მომატებული გლუკოზის შემცველობის/დიაბეტის (უზმოზე სისხლში გლუკოზის კონცენტრაცია ≥7მმოლ/ლ (126 მგ/დლ) ან მედიკამენტების მოხმარება მომატებული გლუკოზის შემცველობის გამო) ასაკ-სტანდარტიზებული პრევალენტობა
	13. მოზარდებში ჭარბი წონისა და სიმსუქნის პრევალენტობა (სიმსუქნე და ჭარბი წონა სკოლის მოსწავლეებსა და მოზარდებში უნდა განისაზღვროს 2007 წლის ბავშვის ზრდის სტანდარტთან მიმართებაში; ჭარბი წონა: სხეულის მასის ინდექსის ასაკთან თანაფარდობის Z ქულების +1 სტანდარტული გადახრა და სიმსუქნე - +2 სტანდარტული გადახრა ასაკისა და სქესის მიხედვით)
	14. 18 წელზე უფროსი ასაკის მოზრდილებში ჭარბი წონისა და სიმსუქნის ასაკ-სტანდარტიზებული მაჩვენებლის შემცირება (ჭარბი წონა: სხეულის მასის ინდექსი ≥25კგ/მ^2 და სიმსუქნე: სხეულის მასის ინდექსი ≥30კგ/მ^2);

გლობალური მიზნები	ინდიკატორები
	15. 18 წელზე უფროსი ასაკის პირებში ნაჯერი ცხიმოვანი მჟავებისგან მიღებული საერთო ენერგიის წილის ასაკ-სტანდარტიზებული საშუალო მაჩვენებელი
	16. 18 წელზე უფროსი ასაკის იმ პირთა ასაკ-სტანდარტიზებული პრევალენტობა, რომლებიც დღეში 5 ულუფაზე (400 გრ) ნაკლებ ხილსა და ბოსტნეულს მოიხმარენ
	17. 18 წელზე უფროსი ასაკის პირებში საერთო ქოლესტეროლის მომატებული დონის ასაკ-სტანდარტიზებული პრევალენტობის და საერთო ქოლესტეროლის საშუალო კონცენტრაცია (საერთო ქოლესტეროლის მომატებული დონე განისაზღვრება როგორც ≥5მმოლ/ლ ან 190 მგ/დლ)
8. მიზნობრივი პოპულაციისთვის სამედიცინო კონსულტაციისა და მედიკამენტური თერაპიის (გლიკემიური კონტროლის ჩათვლით) სულ მცირე 50%-იანი ხელმისაწვდომობა მიოკარდიუმის ინფარქტისა და ინსულტის მართვის მიზნით	18. მიზნობრივ პოპულაციაში იმ პირთა პროპორცია, რომლებიც იტარებენ მედიკამენტურ მკურნალობას და უტარდებათ კონსულტაცია (გლიკემიური კონტროლის ჩათვლით) მიოკარდიუმის ინფარქტის და ინსულტის კონტროლის მიზნით (მიზნობრივი პოპულაცია განისაზღვრება როგორც 40 წლის და უფროსი ასაკის პირები 10 წლიანი კარდიოვასკულური რისკით ≥30%)
9. მიზნობრივი პოპულაციისთვის ძირითადი ტექნოლოგიებისა და მკურნალობის თვალსაზრისით აუცილებელი მედიკამენტების (ჯენერიკების ჩათვლით) სულ მცირე 80%-იანი ხელმისაწვდომობა როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში არაგადამდებ დაავადებათა დიაგნოსტიკის მიზნით	19. ხარისხიანი, უსაფრთხო და ეფექტური ესენციური მედიკამენტების (ჯენერიკებისა და ძირითადი ტექნოლოგიების ჩათვლით) ხელმისაწვდომობა როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში არაგადამდებ დაავადებათა მკურნალობის მიზნით
	20. პალიატიური მზრუნველობის ხელმისაწვდომობა, რაც განისაზღვრება კიბოთი გარდაცვლილ თითოეულ პაციენტზე განსაზღვრული რაოდენობის მორფინის ეკვივალენტური ძლიერი ოპოიდური ანალგეტიკებით
	21. ეროვნული პოლიტიკის დანერგვა, რომელიც ზღუდავს ნაჯერი ცხიმოვანი მჟავების მოხმარებას და განაპირობებს ნაწილობრივ ჰიდროგენიზებული მცენარეული ცხიმების ფაქტობრივ გამორიცხვას საკვები პროდუქტების მარაგიდან, ეროვნული პროგრამების და ეროვნული მოთხოვნების შესაბამისად
	22. ადამიანის პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინისადმი ხელმისაწვდომობა ეროვნული პროგრამების და პოლიტიკის შესაბამისად
	23. ნაჯერი ცხიმების, ცხიმოვანი მჟავების, შაქრის ან მარილის მაღალი შემცველობის საკვები პროდუქტების და არაალკოჰოლური სასმელების მარკეტინგის პოლიტიკის დანერგვა ბავშვებზე მავნე ზეგავლენის შემცირების მიზნით

გლობალური მიზნები	ინდიკატორები
	24. B ჰეპატიტი ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციით მოცვის მაღალი მაჩვენებლები, მესამე დოზით აცრილ ჩვილთა ხვედრითი წილის მიხედვით
	25. 30-49 წლის ასაკის, ან ეროვნული პროგრამების შესაბამისად მიზნობრივი პოპულაციის ქალთა პროპორცია, რომლებმაც გაიარეს საშვილოსნოს ყელის სულ ცოტა, ერჯერადი ან მრავალჯერადი სკრინინგი

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ათასწლეულის განვითარების მიზნების შესრულების შეფასება საქართველოში

მიზანი 4: 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება

ამოცანა 10: *1990-2015 წლებში 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის 2/3-ით შემცირება*

ინდიკატორები:

ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა

12-23 თვის ასაკის ბავშვთა წითელას საწინააღმდეგო აცრით მოცვა

0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა

ათასწლეულის განვითარების მიზნებით განსაზღვრული იყო 1990 წლიდან 2015 წლამდე მსოფლიო მასშტაბით 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის 2/3-ით შემცირება.

2015 წელს მსოფლიოში 0-5 წლამდე ასაკის 5.8 მლნ ბავშვი გარდაიცვალა, რაც 52%-ით ნაკლებია 1990 წელთან შედარებით. ამავე პერიოდში ნეონატალური სიკვდილიანობის მაჩვენებელი შემცირდა 42.2%-ით (2.6 მლნ), ხოლო მკვდრადშობადობის მაჩვენებელი - 47%-ით (2.1 მლნ). 1990-დან 2015 წლამდე პერიოდში 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის ყოველწლიური შემცირების ტემპი 1.5%-ით ჩამორჩებოდა MDG4-ის მიზნის მისაღწევად საჭირო შემცირებას.

აღნიშნულ პერიოდში 0-5 წლამდე ასაკის ბავშვების სიკვდილიანობის შემცირება 58 ქვეყანაში მიმდინარეობდა წარმატებულად და MDG4-ის მიზანს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ 2000 წლიდან კიდევ 28 ქვეყანა შეუერთდა წარმატებული ქვეყნების რიცხვს და ბოლო 15 წლის განმავლობაში მაჩვენებლის სამიზნე შემცირება დაფიქსირდა.


საქართველოში ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელმა ათასწლეულის განვითარების მიზანს მიაღწია, როგორც ოფიციალური სტატისტიკის, ასევე საერთაშორისო ექსპერტთა შეფასებების (ბავშვთა სიკვდილიანობის შეფასების გაეროს სააგენტოთაშორისი ჯგუფი - IGME) და ფართომასშტაბიანი კვლევების (რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა - Georgian Reproductive Health Survey GERHS, ავადობის გლობალური ტვირთის კვლევა - აგტკ (Global Burden of Disease Study – GBD)

მონაცემებით (სურათი 1.1). მნიშვნელოვანია, რომ GBD-ის და IGME-ს შეფასებები გლობალურ და რეგიონალურ დონეზე თითქმის გათანაბრდა, თანხვედრამ 98%-ს მიაღწია.

0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა 1000 ცოცხალშობილზე, საქართველო


წყარო	1990	1995	2000	2005	2010	2011	2012	2013	2014	2015
დკსჯეც	-	-	27.2	19.4	13.4	12.0	12.4	12.0	9.5	10.2
საქსტატი	25	33	24.9	21.1	13.0	13.8	14.4	13.0	10.9	10.2
IGME	47.4	43.3	35.3	24.5	16.4	15.2	14.1	13.1	12.6	11.9
GBD	-	-	36.2	28.0	21.8	-	-	-	-	17.4
RHS	44.5	44.5	45.2	25.1	16.4	-	-	-	-	-

სურათი 1.1 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე, საქართველო



ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ბოლო ხელმისაწვდომი მონაცემებით, კლების ტენდენციის მიუხედავად, 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი საქართველოში აღემატება ევროპის ქვეყნების მაჩვენებლებს, ხოლო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მაჩვენებლებს შორის შუალედურ პოზიციას იკავებს (სურათი 1.2).

სურათი 1.2 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა 1000 ცოცხალშობილზე



წყარო: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის ოფიციალური და შეფასებითი მაჩვენებლების შეფარდებამ, რომლის ოქროს სტანდარტს 1:1 წარმოადგენს, საქართველოში 1990 წლიდან მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია და 2012 წლიდან თითქმის გაუთანაბრდა ოქროს სტანდარტს (სურათი 1.3).


12-23 თვის ასაკის ბავშვთა წითელას საწინააღმდეგო აცრით მოცვა*

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, წითელათი ავადობის შესამცირებლად და მისი ელიმინაციის მისაღწევად სავალდებულოა ორჯერადი ვაქცინაციით 95% მოცვის მიღწევა/შენარჩუნება და თითოეულ შემთხვევაზე, ლაბორატორიული კვლევების ჩათვლით, ზედამხედველობის დამყარება.

2015 წელს ერთი წლის ასაკის ბავშვთა წითელას საწინააღმდეგო აცრით მოცვა თითქმის უნივერსალურია - 96% (სურათი 1.4).


* *დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თავში “მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა” – ინფექციური ავადმყოფობები.*

სურათი 1.3 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა, ოფიციალური სტატისტიკის და შეფასებითი მაჩვენებლების შეფარდება



წყარო: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“

სურათი 1.4 ერთი წლის ასაკის ბავშვთა წითელას საწინააღმდეგო აცრით მოცვა (%)



წყარო: ჯანმოს მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“, დკსჯეც

მიზანი 5: დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება

ამოცანა 11: *1990-2015 წლებში დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლის 3/4-ით შემცირება*

ინდიკატორები:

- *დედათა სიკვდილიანობა*
- *კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მიერ მიღებული მშობიარობების ხვედრითი წილი*
- *კონტრაცეპციის გავრცელების დონე*
- *მოზარდთა შობადობის მაჩვენებელი*
- *ანტენატალური მომსახურებით მოცვა*
- *ოჯახის დაგეგმვის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება*

დედათა სიკვდილიანობა

MDG 5 მიზანი მსოფლიოს მხოლოდ 10 ქვეყანაში იქნა მიღწეული. ამავდროულად, 195 ქვეყნიდან 122-ში დღეისთვის უკვე მიღწეულია SDG 3.1 მიზანი (2030 წლისთვის დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100 000 ცოცხალშობილზე არ აღემატებოდეს 70-ს). 2014 წელს ჯერ კიდევ არსებობდა 24 ქვეყანა, სადაც დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 400-ს აღემატებოდა.

უკანასკნელ წლებში საქართველოში, მონაცემთა სისრულისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. დედის გარდაცვალების შემთხვევების რეგისტრაციის სისრულის უზრუნველსაყოფად, ხდება ყველა შესაძლო წყაროდან მიღებული მონაცემების შედარება. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემთა შეჯერება მიმდინარეობს 2009 წლიდან. ასევე, 2010 წლიდან დკსჯეც ახორციელებს დედათა გარდაცვალების ეპიდემიოლოგიურ კვლევას. 2013 წლიდან ზემოაღნიშნული მონაცემები დარდება შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის "დედათა და ბავშვთა სიკვდილობის/მკვდრადშობადობის შემთხვევების სავალდებულო შეტყობინების ფორმისა და წესის შესახებ" 2013 წლის N01-30/ნ ბრძანების საფუძველზე მიღებულ მონაცემებს.

2013 წლიდან ინფორმაცია რეპროდუქციული ასაკის ქალების გარდაცვალების შემთხვევების შესახებ შეტყობინების სახით შემოდის ცენტრის დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონულ ინფორმაციულ სისტემაში (დზეის), ხოლო 2015 წლიდან ამავე სისტემით ხდება 0-5 წლამდე ასაკის ბავშვების გარდაცვალების აღრიცხვა. დზეის-ი უზრუნველყოფს აღნიშნული მნიშვნელოვანი ინფორმაციის ოპერატიულ მიღებას და შემდგომ დამუშავებას.

2016 წელს ქვეყნის მასშტაბით ამოქმედდა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ანტენატალური და სამეანო მომსახურების ზედამხედველობის აღრიცხვიანობის ელექტრონული სისტემა „ორსულთა და ახალშობილთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობის ელექტრონული მოდული" („დაბადების" რეგისტრი). ელექტრონული მოდულის მეშვეობით ხორციელდება თითოეული ორსულის უწყვეტი მონიტორინგი პირველი ანტენატალური ვიზიტიდან მშობიარობის ჩათვლით. სისტემაში ასევე ფიქსირდება მონაცემები დაბადებისას ახალშობილის ჯანმრთელობის


მდგომარეობის შესახებ. დაბადების რეგისტრის დანერგვა უმნიშვნელოვანეს წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი საინფორმაციო სისტემა მსოფლიოს მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას გააჩნია.


2015 წლის მონაცემები დედათა გარდაცვალების შესახებ წარმოადგენს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა შეჯერების შედეგს.

ზემოაღნიშნული ოფიციალური სტატისტიკური წყაროებით, 2015 წელს საქართველოში რეგისტრირებულია დედის გარდაცვალების 19 შემთხვევა, მაჩვენებელი 100000 ცოცხალშობილზე - 32.1.

გარდა ოფიციალური წყაროებისა, ქვეყნებისთვის დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შეფასებებს ახორციელებენ სხვადასხვა სააგენტოები/ინსტიტუციები, როგორიცაა, მაგალითად, გაეროს დედათა სიკვდილიანობის შეფასების სააგენტოთაშორისი ჯგუფი (Maternal Mortality Estimation Inter-agency Group - MMEIG) და ჯანმრთელობის გაზომვების და შეფასების ინსტიტუტი, რომელთა შეფასებებით საქართველოს მაჩვენებლები რამდენადმე განსხვავდება (სურათი 1.5, 1.6, 1.7).


სურათი 1.5 დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლები 100 000 ცოცხალშობილზე, საქართველო





წყარო: GBD 2015 და MMEIG 2015


სურათი 1.6 დედათა სიკვდილიანობა, შეფასებითი და რუტინული მონაცემების შეფარდება, არასწორად დიფერენცირებული კოდებით აღნიშნული სიკვდილის მიზეზების წილი, საქართველო[*]



წყარო: GBD 2015 და MMEIG 2015

[*] *არასწორად დიფერენცირებულ კოდებს მიეკუთვნება: 1. სიკვდილის მიზეზები, რომლებიც არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც სიკვდილის პირველადი მიზეზი; 2. შუალედური მიზეზები, როგორიცაა გულის უკმარისობა, სეფსისი, პერიტონიტი, ოსტეომიელიტი ან ფილტვის ემბოლია; 3. სიკვდილის უშუალო მიზეზი; 4. სიკვდილის დაუზუსტებელი მიზეზი.*

სურათი 1.7 დედათა სიკვდილიანობის 3 წლიანი საშუალო მცოცავი მაჩვენებელი 100000 ცოცხალშობილზე



წყარო: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“

2015 წელს ქვეყნის ოფიციალური სტატისტიკის მონაცემები მნიშვნელოვნად მიუახლოვდა საერთაშორისო შეფასებებს.


დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100000 ცოცხალშობილზე, საქართველო

წყარო	1990	1995	2000	2005	2006	2010	2011	2012	2013	2014	2015
ოფიციალური სტატისტიკა	40.9	55.1	49.2	23.4	23.0	19.4	27.6	22.8	27.7	31.5	32.1
MMEIG_2012	92	129	113	95	-	-	-	-	77	-	-
MMEIG_2013	50	67	60	48	-	-	-	-	41	-	-
MMEIG_2015	34	35	37	37	-	40	-	-	-	-	36
GBD	41.5	-	30.7	-	-	-	-	-	-	-	42.3
RAMOS	-	-	-	-	44	-	-	26	-	-	-
MMS_2011	-	-	-	-	-	-	20.6	-	-	-	-

რეპროდუქციული ასაკის ქალთა გარდაცვალების რეგისტრაციის გაუმჯობესებას ადასტურებს რეპროდუქციული ასაკის ქალთა სიკვდილიანობის კვლევები, რომელთა მონაცემებით, რეგისტრაციის მოცვა 2012 წელს უკვე 98%-ს შეადგენდა (სურათი 1.8, 1.9).

სურათი 1.8 რეპროდუქციული ასაკის ქალთა გარდაცვალების შემთხვევების რეგისტრაციის მოცვა

სურათი 1.9 დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლები მონაცემთა წყაროების მიხედვით




წყარო: RAMOS; დკსჯეც

კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მიერ მიღებული მშობიარობების ხვედრითი წილი

საქართველოში ჩატარებული ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევების მონაცემებით, 1995-1999 და 2000-2004 წლებში ქალების 8% მშობიარობდა ბინაზე და მათი უმრავლესობა კვალიფიცირებული სამედიცინო დახმარების გარეშე, 2005-2009 წლებში ბინაზე მშობიარობების წილმა 1.2% შეადგინა.

უკანასკნელ წლებში სამედიცინო დაწესებულებებში მიღებული მშობიარობების ხვედრითი წილი უცვლელად მაქსიმალურ მნიშვნელობას ინარჩუნებს (სურათი 1.10).

სურათი 1.10 კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მიერ მიღებული მშობიარობების ხვედრითი წილი (%), საქართველო



წყარო: დკსჯეც

კონტრაცეპციის გავრცელების დონე


რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევების თანახმად, 1995-2009 წლების განმავლობაში საქართველოში კონტრაცეპციის (მათ შორის თანამედროვე მეთოდების) გავრცელების დონე მატულობდა და 2010 წლის კვლევის მონაცემებით, 32% შეადგინა. კონტრაცეპციის გამოყენების მაჩვენებლის ზრდა, ძირითადად, თანამედროვე მეთოდების გამოყენების ზრდით (8.9%-ით)იყო განპირობებული.

რუტინული სტატისტიკის მონაცემებით, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში რეპროდუქციული სერვისების მიმწოდებელ დაწესებულებებში კონტრაცეფციის მეთოდის შესარჩევად მიმართვათა რაოდენობა საქართველოში თითქმის გასამმაგდა.

მოზარდთა შობადობის მაჩვენებელი

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2015 წელს 20 წლამდე ასაკის ქალების შობადობის მაჩვენებელი შემცირდა და 48.6 შეადგინა (სურათი 1.11).

სურათი 1.11 მოზარდთა ორსულობის მაჩვენებლები (15-19 წლის 1000 ქალზე)




წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური; დკსჯეც

ანტენატალური მომსახურებით მოცვა

SDG 3.7 მიზნით განისაზღვრა რეპროდუქციული ჯანმრთელობის და, მათ შორის ანტენატალური სერვისებისადმი უნივერსალური ხელმისაწვდომობა.

საქართველოში უკანასკნელ წლებში, დედათა და ბავშვთა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ანტენატალური მომსახურების 4 ვიზიტი, რამაც განაპირობა ორსულთა დროული მიმართვიანობის მატება (სურათი 1.12).

სურათი 1.12 ორსულობის პირველ ტრიმესტრში ანტენატალურ მეთვალყურეობაზე აყვანილ ორსულთა წილი (%)



წყარო: დკსჯეც

ოჯახის დაგეგმვის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება

ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევების თანახმად, 1995-2009 წლებში საქართველოში ოჯახის დაგეგმვის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილების მაჩვენებელი შემცირდა.

ოჯახის დაგეგმვის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება (%), GERHS

	1995-1999	2000-2004	2005-2009
ოჯახის დაგეგმვის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება 15-44 წლის ასაკის ქალები	14.8	10.1	7.7

მიზანი 6. აივ/შიდსთან, მალარიასა და სხვა დაავადებებთან ბრძოლა

ამოცანები:

- *აივ/შიდსის გავრცელების შეჩერება და უკუპროცესის დაწყება 2015 წლისათვის*
- *მალარიისა და სხვა ძირითადი დაავადებების გავრცელების შეჩერება და უკუპროცესის დაწყება 2015 წლისათვის*

ინდიკატორები:

- *აივ ინფექციის გავრცელება 15-24 წლის ასაკის მოსახლეობაში*
- *აივ ინფექციის მქონე იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომელთაც ხელი*
- *მიუწვდებათ ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზე*
- *კონდომის გამოყენება ბოლო სქესობრივი აქტის დროს*
- *მალარიის ინციდენტობა და სიკვდილიანობის მაჩვენებელი*
- *ტუბერკულოზის ინციდენტობა, პრევალენტობა და სიკვდილიანობის მაჩვენებელი*


აივ ინფექციის გავრცელება 15-24 წლის ასაკის მოსახლეობაში

აივ ინფექცია/შიდსის გავრცელების თვალსაზრისით საქართველო დაბალი პრევალენტობის ქვეყნებს მიეკუთვნება, თუმცა უკანასკნელ წლებში საქართველოში აივ-ინფექციის ინციდენტობის მაჩვენებელი მზარდი დინამიკით ხასიათდება.

2015 წელს გამოვლინდა აივ-ინფექციის სიცოცხლეში პირველად დადგენილი 717 შემთხვევა (ინციდენტობის მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე – 19.3) და შიდს-ით გარდაცვალების 94 შემთხვევა.

15-24 წლის მოსახლეობაში აღირიცხა აივ-ინფექციის 81 ახალი შემთხვევა (ინციდენტობის მაჩვენებელი 100000 შესაბამისი ასაკის მოსახლეზე – 16.9), რაც საერთო რაოდენობის 11.3%-ს შეადგენს (სურათი 1.13).

სურათი 1.13 აივ ინფექციის ინციდენტობა 100000 მოსახლეზე, საქართველო




წყარო: ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრი, დკსჯეც

აივ ინფექციის მქონე იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომელთაც ხელი მიუწვდებათ ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზე

საქართველოში ანტირეტროვირუსული მკურნალობისადმი ხელმისაწვდომობა უნივერსალურია. 2004 წლიდან აღინიშნება ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზე მყოფ პაციენტთა რაოდენობის ზრდა. 2014 წელს ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზე 2541 პაციენტი იმყოფებოდა, 2015 წელს ეს რიცხვი 3044-მდე გაიზარდა (სურათი 1.14).

სურათი 1.14 ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზე მყოფ პირთა რაოდენობა



წყარო: ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრი, დკსჯეც


მალარიის ინციდენტობა და სიკვდილიანობის მაჩვენებელი

2002 წლიდან მალარიის ინციდენტობის მაჩვენებელი მკვეთრი შემცირების დინამიკით ხასიათდებოდა და 2013-2014 წლებში იგი ნულს გაუტოლდა. 2015 წელს დაფიქსირდა მალარიის 5 შემთხვევა, მათ შორის სამი შემთხვევა შემოტანილი იყო, ხოლო ერთი ადამიანი დაინფიცირდა შემოტანილი შემთხვევისგან. მალარიით გამოწვეული გარდაცვალების არც ერთი შემთხვევა უკანასკნელ წლებში რეგისტრირებული არ არის.

ტუბერკულოზის ინციდენტობა, პრევალენტობა და სიკვდილიანობის მაჩვენებელი

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, საქართველოში უკანასკნელ წლებში აღინიშნება ტუბერკულოზის გავრცელების მაჩვენებლების კლების ტენდენცია, თუმცა საქართველოს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება ევროპის რეგიონის და ევროკავშირის ქვეყნების მაჩვენებლებს.

სურათი 1.15 ტუბერკულოზის ინციდენტობის შეფასებითი მაჩვენებლები



წყარო: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“

2015 წელს, საქართველოში, ყველა ფორმის ტუბერკულოზის რეგისტრირებული შემთხვევების რაოდენობამ 100000 მოსახლეზე 97.1 შეადგინა, ახალი შემთხვევების მაჩვენებელმა 100000 მოსახლეზე - 74.7. ტუბერკულოზის ახალი შემთხვევებისა და რეციდივების 2.3% დაფიქსირებულია ციხეებში. ყველა ფორმის ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების 72.2% ფილტვის ტუბერკულოზზე მოდიოდა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2015 წელს საქართველოში ტუბერკულოზით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელმა 100000 მოსახლეზე 1.8 შეადგინა.

თავი 2.*


დემოგრაფია **

მოსახლეობა

2014 წელს საქართველოში ჩატარებული საყოველთაო აღწერის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა შემცირდა. ინდიკატორების შეფასების პროცესში ეს ფაქტი აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული.

2015 წელს საქართველოს მოსახლეობის საშუალო წლიურმა რიცხოვნობამ 3717100 ადამიანი შეადგინა. მოსახლეობის 52.2% ქალი, 47.8% კი კაცია (სურათი 2.1). ქალაქის მოსახლეობა 57.4%-ს შეადგენდა.

სურათი 2.1 სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა, საქართველო, 2015



შობადობა

2015 წელს საქართველოში აღირიცხა 59249 ცოცხალშობილი (2014 წელს - 60635), შობადობის ზოგადი მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე - 15.9. ცოცხალშობილთა 57.2% ქალაქის, ხოლო 42.7% - სოფლის მცხოვრები იყო. დაბადების რიგითობის მიხედვით

---


* *მე-2 თავში მოყვანილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები*

** *2014 და 2015 წლების მაჩვენებლების ზრდა განაპირობა საყოველთაო აღწერის შედეგად მოსახლეობის რიცხოვნობის მკვეთრმა შემცირებამ.*

პირველ ბავშვზე ცოცხალშობილთა 41.7%, მეორე ბავშვზე – 38.2%, ხოლო მესამეზე – 15.5% მოდიოდა.


2015 წლის მონაცემებით, სქესთა მეორეული რაოდენობრივი თანაფარდობა წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და მერყეობს 1.05-დან 1.1-მდე (სურათი 2.2).

სურათი 2.2 სქესთა მეორეული რაოდენობრივი თანაფარდობა, საქართველო




2010 წლიდან საქართველოში აღინიშნება შობადობის შემცირების ტენდენცია 20 წლამდე ასაკში (სურათი 2.3).

სურათი 2.3 20 წლამდე ასაკის ქალების მიერ გაჩენილი ცოცხალშობილი ბავშვების წილი ცოცხალშობილთა საერთო რაოდენობიდან, საქართველო



ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, 2014 წლის შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი (Total fertility rate - TFR) ≈1.3-ჯერ აღემატებოდა 2013 წლის მაჩვენებელს, რაც განპირობებული იყო საყოველთაო აღწერის შედეგად მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებით. 2015 წელს დაფიქსირდა შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის 5%-იანი მატება, მაჩვენებელი 2.3-ს გაუტოლდა (სურათი 2.4).


სურათი 2.4 შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი (TFR), საქართველო



სიკვდილიანობა

სიკვდილიანობის მაჩვენებლის მკვეთრი ზრდა 2014 წელს განპირობებულია საყოველთაო აღწერის შედეგად მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებით. 2015 წელს გასულ წელთან შედარებით სიკვდილიანობის მაჩვენებელი არ შეცვლილა და 13.2 შეადგინა 1000 კაცზე (სურათი 2.5).


სურათი 2.5 სიკვდილიანობა, საქართველო



გარდაცვლილთა საერთო რაოდენობის 51.3% კაცი, 48.7% - ქალი, 53.2% ქალაქის, ხოლო 46.8% - სოფლის მაცხოვრებელი იყო. გარდაცვლილთა საერთო რაოდენობის 1.5% 0-15 წლამდე ასაკის ბავშვებზე მოდიოდა, მათ შორის 69.0% - 0-1 წლამდე ასაკის ბავშვებზე.


საქართველოში 2007 წლიდან აღინიშნება სიკვდილის არაიდენტიფიცირებული მიზეზების წილის მატების ტენდენცია (სურათი 2.6). 2010 წელს სიკვდილის არაიდენტიფიცირებული მიზეზების წილის მნიშვნელობამ 50%-ს გადააჭარბა. სიკვდილის მიზეზების სწორი იდენტიფიცირების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (დკსჯეც) ინიციატივით რაიონული საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების დახმარებით განხორციელდა სიკვდილის არაიდენტიფიცირებული მიზეზების მეორადი მოკვლევა. თითოეულ შემთხვევაში გამოყენებულ იქნა ვერბალური აუტოპსია საერთაშორისო სტანდარტული კითხვარის გამოყენებით. განხორციელებული საქმიანობის შედეგად, აღინიშნება სიკვდილის არაიდენტიფიცირებული მიზეზების წილის შემცირების ტენდენცია - 2015 წელს სიკვდილიანობის სტრუქტურაში არაიდენტიფიცირებული მიზეზების წილი 27.3%-ს შეადგენს.

სურათი 2.6 სიკვდილის არაიდენტიფიცირებული მიზეზების წილი (%) საერთო სიკვდილიანობაში



საქართველოში, ისევე, როგორც მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში, სიკვდილიანობის ტვირთი ძირითადად არაგადამდებ დაავადებებზე მოდის (სურათი 2.7).

სურათი 2.7 სიკვდილიანობის სტრუქტურა, საქართველო (ჯანმო-ს შეფასება, 2014)




წყარო: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

ვაშინგტონის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის გაზომვების და შეფასების ინსტიტუტის (Institute for Health Metrics and Evaluation - IHME) და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაწილეობით მიმდინარეობდა საქართველოში 2013 წელს ავადობის გლობალური ტვირთის კვლევა - აგტკ (Global Burden of Disease Study – GBD), რომელიც წარმოადგენს სიკვდილიანობის და დაავადებების, ტრავმების და რისკ–ფაქტორებით გამოწვეული მდგომარეობების გამო დაკარგული ჯანმრთელობის რაოდენობრივად შედარებადი სიდიდეების გაზომვის სისტემურ მეცნიერულ მეთოდს. ავადობის გლობალური ტვირთის კვლევის დასკვნები ეყრდნობა ჯანმრთელი სიცოცხლის დაკარგული წლების (Disability-Adjusted Life Year - DALY) ოდენობას, რომელიც წარმოადგენს სიკვდილის შედეგად სიცოცხლის დაკარგული წლების (Years of life lost - YLLs) და შეზღუდული შესაძლებლობებით გატარებული წლების (Years Lost due to Disability - YLDs) ჯამს.


კვლევის საფუძველზე შეფასდა 1990 და 2013 წლებში სხვადასხვა დაავადებებით გამოწვეული ნაადრევი სიკვდილიანობის გამო სიცოცხლის დაკარგული წლების ოდენობა. აღნიშნულ წლებს შორის ნაადრევი სიკვდილიანობის გამო სიცოცხლის დაკარგული წლების სხვაობის ყველაზე მაღალი წილი გულ-სისხლძარღვთა დაავადებებზე მოდის (სურათი 2.8 – 2.9).

სურათი 2.8 მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდით, მოსახლეობის დაბერებით, ასაკობრივი კოეფიციენტების ცვლილებით განპირობებული შეზღუდული შესაძლებლობით გატარებული წლების 30 წამყვანი მიზეზის ცვლილება, მსოფლიო, 2005-2015



წყარო: აგტ, 2015 წლის კვლევა

სურათი 2.9 შესაძლებლობის შეზღუდვით გატარებული წლები, მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე (YLD)



წყარო: აგტ, 2015 წლის კვლევა

გამოვლენილი და მოსალოდნელი YLD მონაცემების შეფარდება, 10 წამყვანი მიზეზი, 2015*

საქართველო		ცენტრალური აზია (GBD რეგიონი საქართველოსთვის)		მსოფლიო	
10 წამყვანი მიზეზი	შეფარდება	10 წამყვანი მიზეზი	შეფარდება	10 წამყვანი მიზეზი	შეფარდება
ზურგის და კისრის ტკივილი	0.93	ზურგის და კისრის ტკივილი	1.01	ზურგის და კისრის ტკივილი	0.96
გრძნობათა ორგანოები	1.06	გრძნობათა ორგანოები	0.99	გრძნობათა ორგანოები	1.0
დეპრესიული აშლილობები	1.01	დეპრესიული აშლილობები	0.97	დეპრესიული აშლილობები	0.93
დიაბეტი	1.1	კანის დაავადებები	0.88	კანის დაავადებები	0.94
კანის დაავადებები	0.86	რკინადეფიციტური ანემია	0.92	რკინადეფიციტური ანემია	0.94
შაკიკი	0.98	შაკიკი	0.98	დიაბეტი	0.97
რკინადეფიციტური ანემია	0.87	დიაბეტი	0.92	შაკიკი	0.93
პირის ღრუს დაავადებები	1.03	შფოთვითი აშლილობები	0.8	ძვალ-კუნთოვანი სისტემის სხვა დაავადებები	1.31
ინსულტი	2.36	პირის ღრუს დაავადებები	1.06	შფოთვითი აშლილობები	0.94
შფოთვითი აშლილობები	0.82	ასთმა	0.73	პირის ღრუს დაავადებები	0.86

წყარო: აგტ, 2015 წლის კვლევა

ბუნებრივი მატება


საქართველოში 2015 წელს ბუნებრივი მატების მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე 2.7 იყო, რაც 12.9%-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით. უარყოფითი ბუნებრივი მატება დაფიქსირდა იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, გურიაში, მცხეთა-მთიანეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში.

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა

2015 წელს საქართველოში სიცოცხლის მოსალოდნელმა ხანგრძლივობამ დაბადებისას 72.9 შეადგინა (ქალებში – 77.2; კაცებში – 68.6).

* *ფერით აღნიშნულია განსხვავება გამოვლენილ და მოსალოდნელ მონაცემებს შორის: ლურჯი - გამოვლენილი ნაკლებია მოსალოდნელზე; წითელი - გამოვლენილი აღემატება გათვლით მოსალოდნელ მონაცემს; მწვანე, ყვითელი, ნარინჯისფერი - გამოვლენილ და მოსალოდნელ მონაცემებს შორის სხვადასხვა დონის ცდომილების არსებობა*

სურათი 2.10 სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას (ბოლო ხელმისაწვდომი წელი)



ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები, საქართველო

	2014		2015	
	რაოდენობა	მაჩვენებელი	რაოდენობა	მაჩვენებელი
ცოცხალშობილთა რაოდენობა და მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე	60635	16.3	59249	15.9
ბუნებრივი მატება და მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე	11548	3.1	10128	2.7
გარდაცვლილთა რაოდენობა და მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე	49087	13.2	49121	13.2
მათ შორის გარდაიცვალა 1 წლამდე და მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე	578	9.5	507	8.6
მკვდრადშობადობა და მაჩვენებელი 1000 დაბადებულზე	640	10.4	589	9. 8
ქორწინება და მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე	31526	8.5	29157	7.8
განქორწინება და მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე	9119	2.4	9112	2.5
მიგრაციული მატება და მიგრაციული სალდო	6 543	-6.5	3408	-3.4

თავი 3.

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება*

ჯანდაცვის რესურსები, საქართველო, 2015

ექიმების რაოდენობა	24307	სტაციონარული დაწესებულებების რაოდენობა	270
ექიმებით უზრუნველყოფა 100000 მოსახლეზე	653.9	პოლიკლინიკური დაწესებულებების რაოდენობა	367
ექთნების რაოდენობა	16374	ანტენატალური მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების რაოდენობა	268
ექთნებით უზრუნველყოფა 100000 მოსახლეზე	440.5	სასწრაფო დახმარების სადგურების რაოდენობა	78
ჰოსპიტალური საწოლების რაოდენობა	12830	სისხლის გადასხმის სადგურების რაოდენობა	18
ჰოსპიტალური საწოლებით უზრუნველყოფა 100000 მოსახლეზე	345.2	ჩვილ ბავშვთა სახლების რაოდენობა	1
მიმართვა ექიმთან	14696719	ს/კ ინსტიტუტების რაოდენობა	9
ექიმის ვიზიტი ბინაზე	471020	სოფლის ექიმი (ფიზიკური პირი) რაოდენობა	1270


ჯანდაცვის სისტემის კადრები

სამედიცინო მომსახურების ეფექტურობისა და პროდუქტიულობის კუთხით, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყნებში ჯანდაცვის რესურსის სათანადო რაოდენობის არსებობას.

ჯანდაცვის რესურსებით უზრუნველყოფის ძირითად მაჩვენებლებს წარმოადგენს მოსახლეობის ექიმებით და ექთნებით უზრუნველყოფის მაჩვენებლები (სურათი 3.1). საქართველოში 2006 წლიდან აღინიშნება ექიმებით უზრუნველყოფის მაჩვენებლის ზრდა, ამასთან საქართველოს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აღემატება ევროპის რეგიონის, ევროკავშირის და დსთ ქვეყნების მაჩვენებლებს. ექთნებით უზრუნველყოფის მაჩვენებლები საქართველოში 1998 წლიდან კლების ტენდენციით ხასიათდება და მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპის რეგიონის, ევროკავშირის და დსთ ქვეყნების მაჩვენებლებს.

* *2014 და 2015 წლების მაჩვენებლების ზრდა განაპირობა საყოველთაო აღწერის შედეგად მოსახლეობის რიცხოვნობის მკვეთრმა შემცირებამ.*

სურათი 3.1 მოსახლეობის ექიმებით და ექთნებით უზრუნველყოფის მაჩვენებლები, საქართველო




წყარო: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“

ამასთანავე, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულია სამედიცინო კადრების შემადგენელი კომპონენტების (ექთნები, ექიმები) მართებული შეფარდების დაცვა. ჯანმო-ს მიერ რეკომენდებული ექთნების რაოდენობის ექიმების რაოდენობასთან შეფარდებაა 4 ექთანი 1 ექიმთან (4:1).

საქართველოში ეს მაჩვენებელი უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მუდმივი კლებით ხასიათდება და 2014 წელს 0.8-ს შეადგენს (სურათი 3.2).

სურათი 3.2 ექთნების და ექიმების შეფარდება



წყარო: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“

ევროპის რეგიონის 53 ქვეყანას შორის საქართველოს მაჩვენებელი და, შესაბამისად, ქვეყანა ამ მაჩვენებლით ბოლოსწინა ადგილს იკავებს.

სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფის მაჩვენებლები, ბოლო ხელმისაწვდომი წელი

ექთნების რაოდენობის ექიმების რაოდენობასთან შეფარდება		ექიმების რაოდენობა 100000 მოსახლეზე		ექთნების რაოდენობა 100000 მოსახლეზე	
ფინეთი	4.8	სან მარინო	636.2	შვეიცარია	1781.3
უზბეკეთი	4.8	საბერძნეთი	625.5	ნორვეგია	1744.2
დანია	4.6	საქართველო	517.0	დანია	1685.7
ირლანდია	4.4	ავსტრია	515.0	ისლანდია	1628.4
ალბანეთი	4.4	ნორვეგია	442.9	ფინეთი	1454.2
შვეიცარია	4.3	პორტუგალია	442.6	გერმანია	1342.3
ისლანდია	4.3	ლიტვა	430.7	ირლანდია	1260.9
ლუქსემბურგი	4.2	შვედეთი	411.7	ლუქსემბურგი	1232.6
ნორვეგია	3.9	შვეიცარია	411.4	შვედეთი	1192.1
ბელგია	3.3	გერმანია	410.8	უზბეკეთი	1115.9
საფრანგეთი	3.3	ბელარუსი	408.2	ბელარუსი	1093.3
გერმანია	3.3	ბულგარეთი	398.7	საფრანგეთი	1060.5
ყირგიზეთი	3.2	იტალია	388.0	ბელგია	1016.2
სლოვენია	3.1	ესპანეთი	380.3	სლოვენია	862.9
დიდი ბრიტანეთი	3.0	ისლანდია	377.6	ნიდერლანდები	855.6
ბოსნია და ჰერცეგოვინა	3.0	ჩეხეთი	368.9	სან მარინო	854.6
შვედეთი	2.9	დანია	365.8	დიდი ბრიტანეთი	843.6
ტაჯიკეთი	2.8	ისრაელი	349.7	ჩეხეთი	834.1
ბელარუსი	2.7	აზერბაიჯანი	343.5	ავსტრია	816.6
პოლონეთი	2.5	ნიდერლანდები	335.2	ყაზახეთი	802.1
ნიდერლანდები	2.5	უნგრეთი	332.4	ლიტვა	790.9
ყაზახეთი	2.4	ესტონეთი	332.0	უკრაინა	701.6
რუმინეთი	2.3	რუსეთი	330.6	უნგრეთი	658.4
მონტენეგრო	2.3	ყაზახეთი	329.0	აზერბაიჯანი	641.4
ჩეხეთი	2.3	საფრანგეთი	322.7	პორტუგალია	637.8
უკრაინა	2.2	ლატვია	321.6	იტალია	636.9
მოლდოვა	2.1	უკრაინა	315.2	სერბეთი	628.8
სერბეთი	2.1	ხორვატია	313.9	ხორვატია	616.7
სლოვაკეთი	2.0	სერბეთი	307.1	მოლდოვა	608.3
თურქმენეთი	2.0	ფინეთი	301.7	სლოვაკეთი	608.3
უნგრეთი	2.0	სლოვაკეთი	300.1	ყირგიზეთი	598.6
ხორვატია	2.0	ბელგია	297.1	ესტონეთი	597.9
აზერბაიჯანი	1.9	ლუქსემბურგი	292.0	პოლონეთი	583.0
ლიტვა	1.8	მოლდოვა	290.6	ბოსნია და ჰერცეგოვინა	557.9
ესტონეთი	1.8	ირლანდია	282.1	რუმინეთი	552.4
სომხეთი	1.8	დიდი ბრიტანეთი	280.6	მონტენეგრო	534.7
იტალია	1.6	მაკედონია	280.0	ესპანეთი	533.6
ავსტრია	1.6	სომხეთი	279.5	ისრაელი	508.7
ლატვია	1.6	სლოვენია	277.1	ალბანეთი	506.2

ექთნების რაოდენობის ექიმების რაოდენობასთან შეფარდება		ექიმების რაოდენობა 100000 მოსახლეზე		ექთნების რაოდენობა 100000 მოსახლეზე	
მაკედონია	1.5	რუმინეთი	236.3	ლატვია	502.1
ისრაელი	1.5	უზბეკეთი	234.9	სომხეთი	498.2
პორტუგალია	1.4	მონტენეგრო	234.3	ბულგარეთი	485.0
თურქეთი	1.4	პოლონეთი	230.7	ტაჯიკეთი	475.1
ესპანეთი	1.4	თურქმენეთი	229.1	რუსეთი	457.2
რუსეთი	1.4	ბოსნია და ჰერცეგოვინა	187.9	თურქმენეთი	456.0
სან მარინო	1.3	ყირგიზეთი	185.6	მაკედონია	421.1
ბულგარეთი	1.2	თურქეთი	174.9	საქართველო	413.6
საქართველო	0.8	ტაჯიკეთი	172.2	საბერძნეთი	344.0
საბერძნეთი	0.6	ალბანეთი	128.0	თურქეთი	251.9


წყარო: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“

ჯანდაცვის ქსელი

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ბოლო ხელმისაწვდომი მონაცემებით, 1 სულ მოსახლეზე ამბულატორიულ-პოლიკლინიკური მომსახურებისთვის მიმართვიანობის საშუალო მაჩვენებელი ევროპის რეგიონის ქვეყნებისთვის ≈6-ს შეადგენს. საქართველოში 2002-2012 წლებში მაჩვენებელი 2.2-ს არ აღემატებოდა.

საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედების შემდეგ დაფიქსირდა მოსახლეობის მიმართვიანობის მკვეთრი ზრდა როგორც ამბულატორიულ, ასევე სტაციონარულ დაწესებულებებში. 2015 წელს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური მომსახურებისთვის მიმართვათა რაოდენობამ ერთ სულ მოსახლეზე 4.0-ს მიაღწია (სურათი 3.3).

სურათი 3.3 ამბულატორულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში მიმართვათა რაოდენობა 1 სულ მოსახლეზე, საქართველო



წყარო: დკსჯეც

2015 წელს დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში დარგობრივი სტატისტიკური ანგარიშები წარმოადგინა 257 სტაციონარული სერვისების მიმწოდებელმა დაწესებულებამ. 13 სტაციონარმა (252 საწოლი) 2015 წელს ანგარიში არ წარმოადგინა.

2015 წელს გაგრძელდა მოსახლეობის სტაციონარულ სერვისებზე მიმართვიანობის ზრდის ტენდენცია. 2012 წელთან შედარებით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების შედეგად, სტაციონარული მომსახურებით მოსახლეობის უზრუნველყოფის მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე 50%-ით გაიზარდა და 2015 წელს 7.3 შეადგინა. ასევე გაზრდილია (37%-ით) სტაციონარული საწოლებით მოსახლეობის უზრუნველყოფის მაჩვენებელი.

2015 წელს წინა წელთან შედარებით, 16%-ით გაიზარდა ჰოსპიტალიზებულ პაციენტთა რაოდენობა, სტაციონარული მომსახურება გაეწია 454267 ავადმყოფს, ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი - 12220.9. ჰოსპიტალიზაციათა 20% სასუნთქი სისტემის ავადმყოფობებთან, 17% - სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობებთან და 15% - ორსულობასთან, მშობიარობასა და ლოგინობის ხანასთან იყო დაკავშირებული.
ზოგადი ლეტალობა 2.5%-ს შეადგენდა.

2015 წელს საქართველოს სტაციონარებში ჩატარდა 246457 ოპერაცია (მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე – 66.3), ოპერაციისშემდგომი ლეტალობა – 0.5%. 15 წლამდე ასაკის ბავშვებში ჩატარდა 26402 ოპერაცია (მაჩვენებელი 1000 ბავშვზე – 37.6; ლეტალობა – 0.2%). ოპერაციათა საერთო რაოდენობაში გეგმიური ოპერაციების წილი 72%-ს შეადგენდა.
ჩატარებული ოპერაციების სტრუქტურაში უმეტესი წილი ეკავა სამეანო-გინეკოლოგიურ ოპერაციებს (17.5%) და ოპერაციებს საჭმლის მომნელებელი სისტემის და მუცლის ღრუს (16.7%) ორგანოებზე.

2015 წელს გულზე ჩატარდა 17005 ოპერაცია (გეგმიური და გადაუდებელი), მათ შორის 628 - ბავშვებში. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში 60%-ით გაიზარდა გულზე ჩატარებული ოპერაციების რიცხვი, რაც ძირითადად განპირობებულია სისხლის მიმოქცევის აღდგენითი ოპერაციების რაოდენობის ზრდით. აღნიშნულ პერიოდში კორონარული შუნტირებების რაოდენობა 78%-ით, კორონარული არტერიების ანგიოპლასტიკისა კი 42%-ით გაიზარდა.

ძვალ-კუნთოვანი სისტემის ოპერაციებს შორის მენჯ-ბარძაყის და მუხლის სახსრების პროთეზირება 30.2%-ს შეადგენდა. 2014 წელთან შედარებით, ამ ტიპის ოპერაციების რაოდენობა 15.8%-ით შემცირდა.

გულზე ოპერაციების 4.4% ჩატარდა თანდაყოლილი მანკების გამო. 1.3%-ს ენდოვასკულური ბალონური დილატაცია, 2.9%-ს კარდიოსტიმულატორის იმპლანტირება, 54.1%-ს კორონარული არტერიების ანგიოპლასტიკა შეადგენდა. ინვაზიური ელექტროფიზიოლოგიის და აბლაციის მეთოდით ჩატარდა 115 ჩარევა.

გადაუდებელი ოპერაციების წილი ჩატარებულ ოპერაციათა საერთო რაოდენობაში 27.7%-ს შეადგენს.

საყოველთაო ჯანდაცვა

სამედიცინო მომსახურებით მოსახლეობის საყოველთაო მოცვა გლობალური ჯანმრთელობის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს და გულისხმობს მოსახლეობის არა მარტო ფინანსური რისკებისაგან დაცვას, არამედ მათთვის მაღალხარისხიანი სამედიცინო მომსახურების თანაბარი და სამართლიანი მიწოდების გარანტიას.

2013 წლიდან ხელისუფლებამ საფუძველი ჩაუყარა მოსახლეობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე ორიენტირებულ ჯანმრთელობის პოლიტიკას და 2013 წლის თებერვალში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებით სათავე დაუდო მოსახლეობის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამედიცინო მომსახურებით უნივერსალურ მოცვას. ქვეყნის მოსახლეობის 90%-ზე მეტი წარმოადგენს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მოსარგებლეს, ხოლო დანარჩენს აქვს კერძო სამედიცინო დაზღვევა.


პროგრამა მოიცავს გეგმიურ ამბულატორიულ, გადაუდებელ ამბულატორიულ და სტაციონარულ, გეგმიურ ქირურგიულ მომსახურებას, ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობასა და მშობიარობას. ასევე ხდება საბაზისო მედიკამენტების დაფინანსება მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფებისთვის. 2013 წლის თებერვლიდან 2016 წლის 6 თვის განმავლობაში სულ დაფიქსირდა სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვის 2669541 შემთხვევა (სურათი 3.4).

საყოველთაო ჯანდაცვის რეფორმამ უზრუნველყო ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, შეამცირა ფინანსური ბარიერები და ჯიბიდან დანახარჯები (76% – 2012 წ. და 65% – 2014 წ.), გაზარდა ფინანსური დაცულობა.

მოქალაქეების კატასტროფული დანახარჯებისგან ფინანსური დაცულობის ზრდას ადასტურებს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები, როგორიცაა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID). USAID-ის კვლევის თანახმად, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მოსარგებლეების 96,4% კმაყოფილი ან ძალიან კმაყოფილია ჰოსპიტალურ დონეზე მიღებული გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებით.

სახელმწიფო განაგრძობს ჯანდაცვის სექტორში მიმდინარე სტრატეგიულ რეფორმებს, რომელთა მიზანია ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, პირველადი ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება და ჯანდაცვაზე დანახარჯების გამო ნეგატიური ეკონომიკური ზეგავლენის შემცირება.

სურათი 3.4 საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში დაფიქსირებული შემთხვევების განაწილება (2013-2016 წლის ექვსი თვე)



წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

დანახარჯები ჯანდაცვაზე

ჯანდაცვის სისტემის ოთხი ფუნქციიდან ერთ-ერთია ჯანდაცვის სისტემის დაფინანსება, რომელზედაც დამოკიდებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის სტატუსი, სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და სამედიცინო მომსახურებაზე გარანტირებული და თანასწორუფლებიანი ხელმისაწვდომობა, შედეგად კი მომხმარებლის კმაყოფილების ზრდა. საქართველოში ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯები ყოველწლიურად იზრდება, რაც სამედიცინო მომსახურეობაზე მოთხოვნის მატებასა და გადახდისუნარიანობის გაუმჯობესებაზე მიუთითებს. მისი ხვედრითი წილი მშპ-სთან მიმართებაში საკმაოდ მაღალია ევროპის რეგიონის ქვეყნებს შორის. საკუთარი ეკონომიკიდან საქართველო ჯანდაცვაზე ხარჯავს თითქმის იმდენივეს რამდენსაც ევროპის განვითარებული ქვეყნები.

2013 წლიდან ხელისუფლებამ საფუძველი ჩაუყარა მოსახლეობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე ორიენტირებულ ჯანმრთელობის პოლიტიკას, ბოლო წლებში გაიზარდა ჯანდაცვის სექტორისთვის გამოყოფილი სახელმწიფო ასიგნებების მოცულობა (450 მლნ ლარი 2012 წ. – 900 მლნ. ლარი 2015 წ.). აბსოლუტურ ციფრებში ჯანდაცვაზე სახელმწიფო ხარჯების მატების პარალელურად იზრდება ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯებში მისი ხვედრითი წილიც (21% 2012 წ. - 28% 2014 წ.). მეზობელი ქვეყნებისაგან განსხვავებით, ქვეყნის ჯანდაცვა ძირითადად კერძო სახსრებით ფინანსდება, რომელიც უმეტესწილად განპირობებულია სამკურნალწამლო საშუალებებზე დანახარჯებით, ვიდრე უშუალოდ სამედიცინო მომსახურებაზე დანახარჯებით.

2013-2014 წლებში აღინიშნება ჯიბიდან გადახდების ხვედრითი წილის უპრეცენდენტო კლება (73% 2012 წ. – 66% 2014 წ.), მიუხედავად აბსოლუტურ ციფრებში მისი ზრდისა.

აღნიშნული ქვეყანაში სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ზრდით და როგორც ამბულატორიული ისე სტაციონარული სერვისების უტილიზაციის მნიშვნელოვანი მატებითაა განპირობებული.

ერთ სულზე გადაანგარიშებით, 2014 წელს მკვეთრად გაიზარდა ჯანდაცვაზე დანახარჯები, რაც ერთი მხრივ, საყოველთაო აღწერის მიხედვით მოსახლეობის მნიშვნელობანი შემცირებით და მეორე მხრივ, ჯანმრთელობაზე სახელმწიფო დაფინანსების მატებით უნდა აიხსნას. 2012-2014 წლებში ჯანდაცვაზე მიმართული თანხები დაფინანსების წყაროებს მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება სახელმწიფო (20.6-28.2%) კერძო (69.9-77.1%), საერთაშორისო დახმარებები და გრანტები (1.9-2.3%).

2013-2014 წლებში ჰოსპიტალურ მომსახურებაზე ხარჯები უმნიშვნელოდ გაიზარდა. 2014 წელს ჰოსპიტალურ მომსახურების ხარჯებში სახელმწიფო დაფინანსების წილმა (55%) პირველად გადააჭარბა ჯიბიდან გადახდებს (45%), რაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წარმატებაა და მნიშვნელოვანი შეღავათია მოსახლეობის შეზღუდული სამომხმარებლო კალათისთვის.

2013 წლიდან თანდათან მცირდება სამკურნალო საშუალებებზე დანახარჯების წილი (47% 2012 წ. - 43% 2014 წ.), რაც სამედიცინო მომსახურებაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის, თვითმკურნალობის შემცირების, რეცეპტის ინსტიტუტის შემოღების შედეგს წარმოადგენს. ფარმაცევტული დანახარჯების ყველაზე მაღალი წილი ევროპის რეგიონის ქვეყნებში აქვთ მოლდოვას, უნგრეთსა და საქართველოს.

დანახარჯები ჯანდაცვაზე

	2012	2013	2014
მშპ, მლნ ლარი	26 167.3	26 847.4	29 150.5
ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯები, მლნ ლარი	2 190.5	2 254.3	2 460.2
ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯების წილი მშპ-დან (%)	8.4%	8.5%	8.5%
ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები, მლნ. ლარი	450.3	547.9	693.2
ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯებიდან (%)	20.6%	24.3%	28.2%
ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი მშპ-დან (%)	1.7%	2.0%	2.4%
ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან (%)	5.3%	6.3%	7.2%
ჯანდაცვაზე კერძო დანახარჯები, მლნ. ლარი	1 689.7	1 655.5	1 720.4
ჯანდაცვაზე კერძო დანახარჯების წილი ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯებიდან (%)	77.1%	73.4%	69.9%
ჯანდაცვაზე პირდაპირი, ჯიბიდან გადახდები, მლნ. ლარი	1 608. 8	1 557.0	1 623.4
ჯანდაცვაზე საერთაშორისო დახმარება, მლნ ლარი	50.5	50.9	46.5
ჯანდაცვაზე საერთაშორისო დახმარების წილი ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯებიდან (%)	2.3%	2.3%	1.9%
ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯი ერთ სულზე, ლარი	488	502	660
ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯი ერთ სულზე, აშშ დოლარი	295	302	374

	2012	2013	2014
ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯი ერთ სულზე, საერთაშორისო დოლარი	571	601	772
ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯი ერთ სულზე, ლარი	100	122	186
ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯი ერთ სულზე, აშშ დოლარი	61	73	105
ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯი ერთ სულზე, საერთაშორისო დოლარი	117	146	218
ჯანდაცვაზე კერძო დანახარჯი ერთ სულზე, ლარი	376	369	462
ჯანდაცვაზე კერძო დანახარჯი ერთ სულზე, აშშ დოლარი	228	222	261
ჯანდაცვაზე კერძო დანახარჯი ერთ სულზე, საერთაშორისო დოლარი	440	441	540
ჯანდაცვაზე საერთაშორისო დახმარება ერთ სულზე, ლარი	11	11	12
ჯანდაცვაზე საერთაშორისო დახმარება ერთ სულზე, აშშ დოლარი	7	7	7
ჯანდაცვაზე საერთაშორისო დახმარება ერთ სულზე, საერთაშორისო დოლარი	13	14	15

თავი 4.

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა *

უკანასკნელ წლებში საქართველოში აღინიშნება ზოგადი პრევალენტობის და ინციდენტობის მატების ტენდენცია.


ავადმყოფობათა ზოგადი პრევალენტობა და ინციდენტობა, საქართველო, 2015

რეგისტრირებული შემთხვევების რაოდენობა	პრევალენტობა 100000 მოსახლეზე	ახალი შემთხვევების რაოდენობა	ინციდენტობა 100000 მოსახლეზე
3760003	**101154.1**	**2218268**	**59677.3**

ინფექციური ავადმყოფობები

2015 წელს საქართველოში აღინიშნება ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობების ინციდენტობის ზრდა, რაც განსაკუთრებით ბავშვთა ასაკში შეინიშნება. ამავე დროს შემცირდა ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლები როგორც მთლიან პოპულაციაში, ასევე ბავშვებში (სურათი 4.1, სურათი 4.2).


სურათი 4.1 ინფექციური და პარაზიტული დაავადებები, ინციდენტობის და ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლები 100000 მოსახლეზე, საქართველო



წყარო: დკსჯეც

* *2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგად, დაფიქსირდა მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება, რამაც გამოიწვია მაჩვენებლების ზრდა.*

სურათი 4.2 ინფექციური და პარაზიტული დაავადებები, ინციდენტობის და ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლები ბავშვებში (0-15 წლამდე ასაკის 100000 ბავშვზე), საქართველო



წყარო: დკსჯეც

საანგარიშო წელს ინფექციური დაავადებებით ბავშვთა ჰოსპიტალიზაციის ძირითად მიზეზებს ნაწლავური ინფექციები წარმოადგენდა. კერძოდ, 0-15 წლამდე ასაკის ბავშვებში ნაწლავური ინფექციებით ჰოსპიტალიზაციის წილი სულ ინფექციურ დაავადებებში 71%-ს, ხოლო 0-1 წლამდე ასაკის ბავშვებში – 76%-ს შეადგენდა.

ფილტვის და ფილტვგარეშე ტუბერკულოზი*


საქართველოში უკანასკნელ წლებში აღინიშნება ტუბერკულოზის გავრცელების მაჩვენებლების კლების ტენდენცია. 2015 წელს ყველა ფორმის ტუბერკულოზის რეგისტრირებული შემთხვევების რაოდენობამ 100000 მოსახლეზე 97.1 შეადგინა, მათ შორის ახალი შემთხვევების მაჩვენებელმა 100000 მოსახლეზე - 74.7 (სურათი 4.3).

ტუბერკულოზის ახალი შემთხვევებისა და რეციდივების 2.3% დაფიქსირებულია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. ყველა ფორმის ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების 72.2% ფილტვის ტუბერკულოზზე მოდის.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2015 წელს საქართველოში ტუბერკულოზით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელმა 100000 მოსახლეზე 1.8 შეადგინა.

* *დამატებითი ინფორმაცია იხილეთ I თავში.*


სურათი 4.3 ტუბერკულოზით ავადობა 100000 მოსახლეზე, საქართველო



წყარო: დკსჯეც; ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით ასევე დასტურდება ტუბერკულოზის გავრცელების მაჩვენებლების კლება, თუმცა საქართველოს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება ევროპის რეგიონის და ევროკავშირის ქვეყნების მაჩვენებლებს (სურათი 4.4).

სურათი 4.4 ტუბერკულოზის ინციდენტობა, ჯანმო-ს შეფასება



წყარო: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“


ტუბერკულოზის კონტროლისა და შემთხვევათა მართვის შეფასების პარამეტრს ფილტვის ტუბერკულოზის ახალი ბაქტერიაგამომყოფი ფორმების “წარმატებული

მკურნალობის მაჩვენებელი” წარმოადგენს. საქართველოში 2005 წელს ფილტვის ტუბერკულოზის ახალი ბაქტერიაგამომყოფი ფორმების წარმატებული მკურნალობის მაჩვენებელი მხოლოდ 64.1%-ს შეადგენდა, 2014 და 2015 წლის მაჩვენებელები 81%-ს გაუტოლდა (2013 წლის კოჰორტა).

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებითი გათვლებით, საქართველო მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მხრივ „მაღალი ტვირთის მქონე" ქვეყნებს მიეკუთვნება.

2015 წელს ფილტვის ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების 11.6% (168 შემთხვევა), ხოლო წარსულში ნამკურნალევი შემთხვევების 38.8% (186 შემთხვევა) მულტირეზისტენტულია (სურათი 4.5).

სურათი 4.5 მულტირეზისტენტული ტუბერკულოზი, საქართველო



წყარო: დკსჯცც; ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი


მულტირეზისტენტული ფორმით დაავადებულ პაციენტთა შორის მაღალია შეწყვეტილი მკურნალობის სიხშირე. ასევე აღინიშნება რეზისტენტობის ზრდის ტენდენცია ახალ შემთხვევათა შორის, რაც საზოგადოებაში მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის გავრცელების მაღალ რისკზე მიუთითებს.

აივ-შიდსი*

აივ ინფექცია/შიდსის გავრცელების თვალსაზრისით საქართველო დაბალი პრევალენტობის ქვეყნებს მიეკუთვნება, თუმცა უკანასკნელ წლებში საქართველოში აივ-ინფექციის ინციდენტობის მაჩვენებელი ხასიათდება მზარდი დინამიკით. 2015 წელს გამოვლინდა აივ-ინფექციის სიცოცხლეში პირველად დადგენილი 717 (ინციდენტობის მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე – 19.3) და შიდს-ით გარდაცვალების 94 შემთხვევა (სურათი 4.6).

* *დამატებითი ინფორმაცია იხილეთ I თავში.*

სურათი 4.6 აივ ინფექციის ინციდენტობა 100000 მოსახლეზე



წყარო: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა "ჯანმრთელობა ყველასათვის"

2015 წელს წინა წელთან შედარებით აივ-ინფექცია/შიდსის გავრცელებაში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ტენდენციები:

- 27%-ით გაიზარდა აივ/შიდსის ახალი რეგისტრირებული შემთხვევები;
- 17%-ით გაიზარდა ახალ რეგისტრირებულ შემთხვევებში ჰეტეროსექსუალური გზით დაინფიცირებულთა რაოდენობა;
- 122%-ით გაიზარდა ახალ რეგისტრირებულ შემთხვევებში ჰომო/ბისექსუალური გზით დაინფიცირებულთა რაოდენობა;
- 4%-ით გაიზარდა ახალ რეგისტრირებულ შემთხვევებში ინტრავენური ნარკოტიკების მოხმარებით დაინფიცირებულთა რაოდენობა.

აივ ინფექციის ახალი შემთხვევების განაწილება გადაცემის გზების მიხედვით, საქართველო, 2015

გადაცემის გზა	%
ნარკოტიკის ინექციური მოხმარება	28.0
ჰეტეროსექსუალური სქესობრივი კონტაქტი	50.2
ჰომოსექსუალური სქესობრივი კონტაქტი	19.8
ვერტიკალური გადაცემა (დედიდან შვილზე)	0.8
სისხლის ან სისხლის პროდუქტების გადასხმა	0.6
დაუდგენელი	0.6

წყარო: ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სპ ცენტრი

ქვეყანაში საკმაოდ მაღალია აივ-ინფექციის შემთხვევების გვიანი გამოვლენა (ახალი შემთხვევების 30.0% შიდსის სტადიაზეა გამოვლენილი), რაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. აივ-ინფექცია/შიდსის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ბოლო წლებში მიმდინარეობდა ორსულთა, დონორთა, მაღალი ქცევითი რისკისა და სხვა

ჯგუფების, მ.შ. პენიტენციურ სისტემაში მყოფი ბრალდებულების/მსჯავრდებულების ნებაყოფლობითი შემოწმება აივ/შიდს-ზე. ქვეყანაში ანტირეტროვირუსული მკურნალობისადმი ხელმისაწვდომობა უნივერსალურია.


ვირუსული ჰეპატიტი C (HCV)

საერთაშორისო შეფასებებზე დაყრდნობით, საქართველო C ჰეპატიტის მაღალი პრევალენტობის ქვეყნებს მიეკუთვნება.

2015 წლის აპრილში საქართველომ წამოიწყო უპრეცედენტო პროგრამა და მიზნად დაისახა ქვეყანაში C ჰეპატიტის ელიმინაცია. პროგრამის დაწყებიდან 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით 36457 ათასმა პაციენტმა მიმართა სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებს, მათგან დაახლოებით 30 ათასი აღმოჩნდა C ჰეპატიტის რნმ-ზე დადებითი, რაც მიუთითებს აქტიურ ინფექციაზე და მკურნალობის საჭიროებაზე. მათგან 19338 პაციენტმა იმკურნალა ან ამჟამად მკურნალობს უახლესი ანტივირუსული მედიკამენტებით. 9688 პაციენტმა უკვე დაასრულა მკურნალობა და იმ პაციენტებში, რომლებშიც ჩატარდა მყარი ვირუსული პასუხის შესაფასებელი ანალიზი, მკურნალობის დასრულებიდან 3 თვის შემდეგ, განკურნების მაჩვენებელი 80%-ს აღწევს. ამჟამად C ჰეპატიტით ინფიცირებულ ყველა ადამიანს, მიუხედავად ფიბროზის ხარისხისა, შეუძლია ჩაერთოს პროგრამაში და ჩაიტაროს უფასო მკურნალობა.

C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში CDC/აშშ-ს მხარდაჭერით 2015 წელს მთელი ქვეყნის მასშტაბით პირველად განხორციელდა პოპულაციური „B და C ჰეპატიტების სეროპრევალენტობის კვლევა საქართველოში“. კვლევის დროს ჩატარდა 6331 ინტერვიუ, შეგროვდა 6014 სისხლის ნიმუში. კვლევის მონაცემებით, C ჰეპატიტის ანტისხეულებზე (Anti HCV+) დადებითია (რაც მიუთითებს გადატანილ ან ამჟამინდელ ინფექციაზე) ქვეყნის მოზრდილი მოსახლეობის 7.7% (კაცებში - 12.1%, ქალებში - 3.8%), მათ შორის C ჰეპატიტის აქტიური ფორმით დაავადებული (რნმ-დადებითი - HCV RNA+) არის მოზრდილი მოსახლეობის 5.4% (კაცებში - 8.9%, ქალებში - 2.1%) (სურათი 4.7).


სურათი 4.7 HCV პრევალენტობა სქესის მიხედვით (%), 2015 წლის კვლევა



წყარო: B და C ჰეპატიტების სეროპრევალენტობის კვლევა საქართველოში

კვლევის შედეგებით, დაავადების გავრცელება შედარებით მაღალია მამაკაცებში, განსაკუთრებით 30-39 და 40-49 ასაკობრივ ჯგუფში (22.2%) (სურათი 4.8).

სურათი 4.8 HCV წილი ასაკის მიხედვით (%), 2015 წლის კვლევა



წყარო: B და C ჰეპატიტების სეროპრევალენტობის კვლევა საქართველოში

სეროპრევალენტობის კვლევის მიხედვით C ჰეპატიტის უმთავრეს რისკ-ფაქტორებად გამოიკვეთა ინექციური ნარკოტიკების მოხმარება და სისხლის გადასხმა. ანტისხეულებზე დადებითი კვლევის მონაწილეთა 38.2% აღნიშნავს ნარკოტიკების ინექციურ მოხმარებას, ხოლო 19.7% - სისხლის გადასხმას. მონაწილეთა თითქმის ნახევარი (46.7%) არ აღნიშნავს ამ ორი ძირითადი რისკ-ფაქტორიდან რომელიმეს.


C ჰეპატიტის ელიმინაციის საბოლოო მიზნების მისაღწევად ქვეყანაში შემუშავდა და 2016 წელს დამტკიცდა C ჰეპატიტის ელიმინაციის გრძელვადიანი სტრატეგია (2016-2020), რომელიც მოიცავს ქმედებებს სხვადასხვა მიმართულებებით, როგორიცაა ცნობიერების ამაღლება, ეპიდზედამხედველობა, პრევენცია, სკრინინგი, დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

წითელა*

საქართველოში ისევე, როგორც ყველა ქვეყანაში, წითელა სავალდებულო რეგისტრაციას და ეპიდზედამხედველობას ექვემდებარება. ქვეყანაში წითელათი ავადობის მნიშვნელოვანი მატება 2004 და 2013 წლებში დაფიქსირდა (სურათი 4.9). 2013 წლის პიკი განპირობებულია 2008 წელს იმუნიზაციის მასობრივი კამპანიის წარუმატებლობით, აღნიშნულმა ხელი შეუწყო მოსახლეობის არაიმუნური ფენის დაგროვებას, რაც წითელათი ავადობის ეპიდემიური მატების პირობა გახდა. ავადობის ტვირთი, ძირითადად, 1 წლამდე და 15-30 წლის ასაკის მოსახლეობაზე მოვიდა.

ეპიდემიის გავრცელების შეკავების მიზნით 2013 წლიდან განხორციელდა დამატებითი კამპანიური ღონისძიებები: 14 წლამდე ასაკის ბავშვთათვის წითელას საწინააღმდეგო აცრების კურსის დასრულება, 15-30 წლის ასაკის მოსახლეობისთვის, სამედიცინო მუშაკებისა და სხვა სპეციფიკური კონტინგენტებისთვის დამატებითი აცრის ჩატარება. ეპიდაფეთქების კუპირების მიზნით, წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინის დამატებითი დოზა 2013-2015 წლებში ~150000 მოქალაქემ მიიღო.

სურათი 4.9 წითელა, ინციდენტობა 100000 მოსახლეზე



წყარო: დკსჯეც


ყირიმ–კონგოს ჰემორაგიული ცხელება

2014 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ადგილი ჰქონდა ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების აფეთქებას. სულ აღირიცხა ყირიმ–კონგოს ჰემორაგიული ცხელების 24 შემთხვევა (ინციდენტობა 100000 მოსახლეზე - 0.6) (სურათი 4.10). გარდაიცვალა 4 ადამიანი (ლეტალობის მაჩვენებელი - 16.6). 2015 წელს ყირიმ–კონგოს ჰემორაგიული

* *დამატებითი ინფორმაცია იხილეთ I თავში.*

ცხელების შემთხვევათა რაოდენობა თითქმის 3-ჯერ შემცირდა (აღირიცხა 9 შემთხვევა; ინციდენტობა 100000 მოსახლეზე - 0.24).
2015 წელს დაფიქსირდა გარდაცვალების 1 შემთხვევა (ლეტალობის მაჩვენებელი - 11.1).

სურათი 4.10 ყირიმ -კონგოს ჰემორაგიული ცხელება, ინციდენტობა 100000 მოსახლეზე, საქართველო



წყარო: დკსჯეც

ცოფი


ანტირაბიული ვაქცინებითა და შრატით (იმუნოგლობულინი) უწყვეტი მომარაგების ფონზე, 1990 წლიდან დღემდე პირველად იქნა მიღწეული ადამიანთა ცოფით დაავადების ნულოვანი მაჩვენებელი. 2015 წელს დაფიქსირდა 57125 დაკბენა/დადორბლვის შემთხვევა, აქედან ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია ჩაუტარდა 52738 ადამიანს.

მალარია

2002 წლიდან მალარიის ინციდენტობის მაჩვენებელი მკვეთრი შემცირების დინამიკით ხასიათდებოდა და ნულს გაუტოლდა 2013-2014 წლებში (სურათი 4.11). 2015 წელს დაფიქსირდა მალარიის ხუთი შემთხვევა, მათ შორის სამი შემთხვევა შემოტანილი იყო, ხოლო ორი ადამიანი დაინფიცირდა შემოტანილი შემთხვევისგან.

უკანასკნელ წლებში მალარიით გამოწვეული გარდაცვალების არც ერთი შემთხვევა არ დარეგისტრირებულა.

სურათი 4.11 მალარიის ინციდენტობა 100000 მოსახლეზე



წყარო: დკსჯეც

იმუნიზაცია


იმუნიზაციის ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ყველა აცრა მოსახლეობისთვის უფასოა. სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის იმუნიზაციისთვის ხდება მხოლოდ იმ ვაქცინების შეძენა, რომელთაც აქვთ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეკვალიფიკაცია, რაც მაღალი ხარისხისა და უსაფრთხო იმუნიზაციის გარანტიაა. იმუნიზაციის უსაფრთხოების ამაღლების მიზნით, 2014 წელს საქართველოს მთავრობის მიერ მოხდა „ცივი ჯაჭვის“ ინვენტარის განახლება.

2015 წელს მიღწეული მოცვის მაჩვენებლები ანტიგენთა უმრავლესობაში აღემატება 2014 წლის მაჩვენებლებს, თუმცა, ყველა შემთხვევაში ვერ იქნა განხორციელებული დასახული წლიური 95%-იანი მიზანი.

წინა წელთან შედარებით, მოცვის დონის კლება აღინიშნა 1 წლამდე ასაკის ბავშვთა ბცჟ (0,9%) და ჰეპB 0-ით (1,5%) აცრებში.

2014 წელთან შედარებით დყტ კომპონენტის შემცველი ვაქცინის მესამე დოზით მოცვის 3%-იანი გაუმჯობესების გარდა, მნიშვნელოვანი წინსვლა იქნა მიღწეული ვაქცინაციის პირველადი კურსიდან ბავშვთა განთესვის (დანაკარგის) ინდიკატორთან მიმართებაში - ეროვნული მაჩვენებელი მოექცა რეკომენდებულის ფარგლებში და შეადგინა 6.3% (2014 წელს - 10.04%). აღნიშნული მიანიშნებს სამედიცინო დაწესებულებების მუშაობის ეფექტურობის ზრდის დადებით ტენდენციაზე, რასაც ამყარებს აცრების დროული დაწყების 2,7%-იანი მატებაც (სურათი 4.12).

სურათი 4.12 იმუნიზაციით მოცვა (%), საქართველო



წყარო: დკსჯეც

ევროპის დაავადებათა კონტროლის ცენტრისა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, ქვეყნებში წითელას საწინააღმდეგო პირველი აცრით მოცვის სამიზნე მნიშვნელობა 2010 წლისთვის 95%-ით განისაზღვრა.

საქართველოში უკანასკნელი წლების განმავლობაში აღინიშნებოდა წითელას საწინააღმდეგო პირველი აცრით მოცვის ზრდა. გამონაკლისს 2009 წელი წარმოადგენდა, რაც ვაქცინით მომარაგებაში ხანგრძლივი წყვეტის შედეგი იყო. 2015 წელს მოცვის მაჩვენებელმა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულ მნიშვნელობას გადააჭარბა და 96.5% შეადგინა, რაც 4%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე.

2013 წლიდან ხორციელდება როტავირუსით გამოწვეული გასტროენტერიტების, ხოლო 2014 წლის 30 ოქტომბრიდან პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. 2015 წლიდან პოლიომიელიტის გლობალური ერადიკაციის ფარგლებში ქვეყანაში დაინერგა ჰექსავალენტური ვაქცინა და შეიქმნა პოლიომიელიტის სამვალენტიანი ორალური ვაქცინიდან ორვალენტიან ვაქცინაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა.

“დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის” სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში B ჰეპატიტის იმუნოგლობულინით იმუნიზაცია ჩაუტარდა ანტიგენდადებითი დედების მიერ დაბადებულ 791 ბავშვს.

იმუნიზაციის ეროვნულ კალენდარში ახალი ვაქცინების შემოტანასთან დაკავშირებით განახლდა და დაინერგა იმუნიზაციის საინფორმაციო სისტემის ელექტრონული პროგრამა GEOVACC.

არაგადამდები ავადმყოფობები

მსოფლიოს მოსახლეობის ავადობის და სიკვდილიანობის ძირითადი ტვირთი არაგადამდებ დაავადებებზე მოდის. ტრავმული დაზიანებები და არასასიკვდილო გამოსავლის მქონე დაავადებების ძირითად რისკებს მსოფლიოს მოსახლეობისთვის არაჯანმრთელი ცხოვრების პირობები წარმოადგენს. ავადობის გლობალური ტვირთის ძირითად მაჩვენებლებზე დაყრდნობით, 2015 წელს მსოფლიოში შეზღუდული შესაძლებლობებით გატარებული წლების (Years Lost due to Disability - YLDs) 25 წამყვან მიზეზს შორის 22 არაგადამდები დაავადებებით იყო წარმოდგენილი.

შეზღუდული შესაძლებლობით გატარებული წლების (YLD) 25 ძირითადი მიზეზი მსოფლიოში, 2005-2015

ძირითადი მიზეზები	საშუალო ცვლილება	ასაკ-სტანდარტიზებული საშუალო ცვლილება
წელის და კისრის ტკივილი	18.6% (17.6-19.6%)	-2.1% (-2.6 - (-1.4%)
გრძნობათა ორგანოების დაავადებები	24.2%(23.2% -25.3%)	0.7% (0.1-1.3%)
დეპრესიული დაავადებები	18.2% (17.2-19.2%)	1.0% (0.5 -1.5%)
კანის დაავადებები	11.7% (11.2-12.4%)	0.4% (01-08%)
რკინა-დეფიციტური ანემია	-7.2% (-8.0 –(-6.3%)	-14.5% (-15.1- (-13.7)
დიაბეტი	33.3% (30.9-30.6%)	6.1% (4.1- 8.2%)
შაკიკი	15.3% (14.0-16.7%)	0.8% (-0.2 - 1.8%)
სხვა ძვალკუნთოვანი დაავადებები	20.5% (17.3-23.8%)	1.2% (-1.1-3.8%)
შფოთვითი აშლილობები	14.8% (12.8-16.6%)	1.0% (-0.4 - 2.3%)
სხვა ნეონატალური	10.7% (-54.8 -195.6%)	-1.8% (-60.1-161.7%)
პირის ღრუს დაავადებები	22.4% (21.6 -23.1%)	-0.2% (-0.5 - 0.1)
ასთმა	9.3% (7.4-11.4%)	-2.4% (-4.2- (-0.3%)
შიზოფრენია	19.5% (18.5-20.5%)	0.2% (-0.4 - 0.9%)
ოსტეოართრიტები	34.7% (33.6-35.9%)	3.9% (3.0 - 4.8%)
ფქოდ	16.1% (13.4 – 18.7%)	-5.9% (-8.0 - (-4.0%)
ვარდნა	11.2% (6.6 -15.6%)	-8.7% (-12.2 - (-5.2%)
გულსისხლძარღვთა სხვა დაავადებები	33.0% (32 -34.1%)	1.8% (1.2 – 2.4%)
აუტიზმი	12.3% (11.9- 12.7%)	0.5% (0.2 - 0.9%)
წამალთდამოკიდებულება	23.6% (21.5 - 25.9%)	8.2% (6.3 – 10.0%)
სხვა ფსიქიკური აშლილობები	18.8% (17.7 – 19.8%)	0.3% (-0.5 – 1.2%)
გინეკოლოგიური დაავადებები	10.3% (9.0 – 11.7%)	-3.7% (-4.7 – (-2.8%)
წამლით გამოწვეული თავის ტკივილი	18.9% (15.2 – 22.7%)	0.5% (-2.3 – 3.5%)
ბიპოლარული დარღვევა	14.9% (13.9 – 15.9%)	0.5% (-0.0 – 1.0%)
ჰემოგლობინოპათიები	7.7% (7.1 – 8.4%)	-1.4% (-1.9 – (-1.0%)
ცერებროვასკულური დაავადება	23.0% (22.0 – 24.0%)	-4.7% (-5.4 – (-3.9%)

არაგადამდები დაავადებების დიაგნოზით ყოველწლიურად 38 მილიონი ადამიანი იღუპება. არაგადამდები დაავადებების საერთო რიცხვის სამი მეოთხედი - 28 მილიონი შემთხვევა - დაბალი და საშუალო შემოსვლების მქონე ქვეყნებში ფიქსირდება.


არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული 16 მილიონი სიკვდილი დგება ნაადრევად - 70 წლამდე ასაკში, მათგან 82% დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში.

საქართველოში სიკვდილიანობის 97% განპირობებულია არაგადამდები დაავადებებით (94%) და ტრავმებით (3%), რამაც განაპირობა 2013 წელს ჰიპერტენზიის, კიბოს, დიაბეტის, ფილტვის ქრონიკული დაავადებების, სიმსუქნის, ჯანსაღი კვების, ძალადობისა და ტრავმატიზმის, ალკოჰოლის, თამბაქოს, მარილის პრევენციისა და კონტროლის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება.

სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები

2000-2015 წლებში სისხლის მიმოქცევის ავადმყოფობების პრევალენტობის ზრდის ტენდენცია აღინიშნება. სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობების წილი ქვეყანაში რეგისტრირებული ყველა დაავადების 15.5%-ს, ხოლო ახალი შემთხვევების 8.6%-ს შეადგენს. ავადმყოფობათა ამ ჯგუფში მაღალი ავადობით და სიკვდილიანობით ხასიათდება ჰიპერტენზიული, იშემიური და ცერებროვასკულური ავადმყოფობები (სურათი 4.13).

სურათი 4.13 სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობების სტრუქტურა (%), საქართველო, 2015



წყარო: დკსჯეც

ჰიპერტენზიული ავადმყოფობა

კარდიოვასკულური ავადმყოფობების რეგისტრირებული შემთხვევების სტრუქტურაში ჰიპერტენზიის წილი ~62%-ს იკავებს (2015). „არაგადამდებ ავადმყოფობათა რისკ-ფაქტორების კვლევის“ (STEPS-2010) მონაცემებით, მოსახლეობის ~34% ჩამოყალიბებული ან პოტენციური ჰიპერტონიკია.

გულის იშემიური ავადმყოფობები

გულის იშემიური ავადმყოფობები სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობათა რაოდენობის ~18%-ს შეადგენს, მათ შორის სტენოკარდია – 6.8%; მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი – 1.0% და სხვა მწვავე იშემიური ავადმყოფობები – 1.6%.

2015 წელს მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის შემთხვევათა 55.8%-ში განხორციელდა დროული ჰოსპიტალიზაცია (ავადმყოფობის დაწყებიდან პირველ 24 საათში).

ცერებროვასკულური ავადმყოფობები

ცერებროვასკულური ავადმყოფობები სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობების სტრუქტურაში რიგით მესამე ადგილს იკავებს. უკანასკნელ წლებში საქართველოში აღინიშნება ცერებროვასკულური ავადმყოფობების პრევალენტობის ზრდა.


ავთვისებიანი ახალწარმონაქმნები

ონკოლოგიურ დაავადებათა ეპიდზედამხედველობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოში 2015 წლის 1 იანვრიდან ქვეყნის მასშტაბით ამოქმედდა კიბოს პოპულაციური რეგისტრი. კიბოს პოპულაციური რეგისტრის მონაცემებით, 2015 წელს საქართველოში რეგისტრირებულია ყველა ლოკალიზაციის კიბოს 10506 ახალი შემთხვევა. ამ რაოდენობაში შედის როგორც მელანომის გარდა სხვა კანის კიბო, ასევე in situ სიმსივნეები. კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოს (IARC) რეკომენდაციით, სტატისტიკური გათვლებისთვის გამოიყენება ყველა ლოკალიზაციის კიბოს შემთხვევები, სხვა კანის კიბოსა და in situ სიმსივნეების გარდა*. კიბოს რეგისტრის მონაცემებით, 2015 წელს ეს რაოდენობა 9598 შემთხვევას შეადგენს. 2015 წლის ინციდენტობის მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე - 258.2 - მიუახლოვდა კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოს შეფასებებს (სურათი 4.14).

	GLOBOCAN 2012 ESTIMATED CANCER INCIDENCE, MORTALITY AND PREVALENCE WORLDWIDE IN 2012	NCDC	
საქართველო	**2012**	**2014**	**2015 რეგისტრი**
საშუალო წლიური მოსახლეობა	4 304 000	3 727 100	3 717 100
ახალი შემთხვევების რაოდენობა	12 400	5 229	9 598
მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე	288.1	140.1	258.2


* *http://globocan.iarc.fr/Pages/cancer.aspx*

სურათი 4.14 ავთვისებიანი ახალწარმონაქმნები, ინციდენტობა 100000 მოსახლეზე



2015 წელს კაცებში რეგისტრირებულია ყველა ლოკალიზაციის კიბოს 4261 ახალი შემთხვევა, ინციდენტობის მაჩვენებელი 100 000 კაცზე - 240. ქალებში რეგისტრირებულია ყველა ლოკალიზაციის კიბოს 5337 ახალი შემთხვევა, ინციდენტობის მაჩვენებელი 100 000 ქალზე - 275. ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების 70% რეგისტრირებულია ყველაზე შრომისუნარიან, 30-დან 70 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, შემთხვევათა 26% - 70 წელზე მეტ ასაკობრივ ჯგუფში. 0-დან 15 წლამდე ასაკობრივ ჯგუფზე მოდის შემთხვევათა 1%, 15-დან 19 წლამდე მოზარდებზე - 0.4% (სურათი 4.15).


სურათი 4.15 ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების ასაკ-სპეციფიური კოეფიციენტები კაცებში, საქართველო 2015



წყარო: დკსჯეც, კიბოს პოპულაციური რეგისტრის მონაცემები

რეპროდუქციული ასაკის (15-49 წელი) ქალებში რეგისტრირებულია ყველა ლოკალიზაციის კიბოს 1296 ახალი შემთხვევა, რაც ყველა ასაკობრივი ჯგუფის ქალებში რეგისტრირებული შემთხვევების 24%-ს შეადგენს (სურათი 4.16).

სურათი 4.16 ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების ასაკ-სპეციფიური კოეფიციენტები ქალებში, საქართველო 2015



წყარო: დკსჯეც, კიბოს პოპულაციური რეგისტრის მონაცემები

2011 წლიდან ქვეყანაში მოქმედებს კიბოს სკრინინგ-პროგრამები:

- ძუძუს კიბოს სკრინინგი 40-70 წლის ქალებისთვის;
- საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 25-60 წლის ქალებისთვის;
- კოლორექტული კიბოს სკრინინგი 50-70 წლის მოსახლეობისთვის;
- პროსტატის კიბოს მართვა 50-70 წლის კაცებისთვის.


კიბოს სკრინინგის და მართვის პროგრამის ფარგლებში ჩატარებული გამოკვლევების რაოდენობა

ლოკალიზაცია	2012	2013	2014	2015
ძუძუ	17576	20121	21865	21511
საშვილოსნოს ყელი	27374	26111	23532	25005
წინამდებარე ჯირკვალი	3424	5900	6178	9768
მსხვილი ნაწლავი	4691	6025	6417	6490

წყარო: დკსჯეც

უკანასკნელი წლების განმავლობაში ახლად გამოვლენილი ავთვისებიანი სიმსივნეების საერთო რაოდენობაში გაიზარდა I და II სტადიაზე გამოვლენილი შემთხვევების წილი და, შესაბამისად, შემცირდა III და IV სტადიაზე გამოვლენის წილი. 2015 წელს დაავადების I და II სტადიაზე რეგისტრირებულია ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების 39%. III და IV სტადიებზე რეგისტრირებული დაავადებების წილი კვლავ მაღალია და 50%-ს შეადგენს (სურათი 4.17).

სურათი 4.17 კიბოს ახალი შემთხვევების განაწილება სტადიების მიხედვით (%), საქართველო




წყარო: დკსჯეც

შაქრიანი დიაბეტი

უკანასკნელ წლებში საქართველოში დიაბეტის გავრცელების მაჩვენებელთა ზრდის ტენდენცია აღინიშნება (სურათი 4.18).

სურათი 4.18 შაქრიანი დიაბეტის პრევალენტობის მაჩვენებელი დიაბეტი, საქართველო



წყარო: დკსჯეც

2015 წელს ინსულინდამოკიდებული შაქრიანი დიაბეტის (ტიპი I) ახალი შემთხვევების 4.2% რეგისტრირებული იყო ბავშვებში.

ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული ავადმყოფობები (COPD)

რესპირაციული სისტემის ქრონიკული ავადმყოფობების (ასთმა, სასუნთქი სისტემის ალერგიული ავადმყოფობები, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული ავადმყოფობები, ფილტვის პროფესიული ავადმყოფობები, პულმონარული ჰიპერტენზია) ჯგუფი სასუნთქი სისტემის ავადმყოფობების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

2015 წელს ქვედა სასუნთქი გზების ქრონიკული ავადმყოფობების ჯგუფში ფილტვის ქრონიკულ ობსტრუქციულ ავადმყოფობებზე (ფქოდ) 70.1% მოდიოდა.

ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული ავადმყოფობის ძირითად მიზეზს თამბაქოს კვამლი (პასიური მოხმარების ჩათვლით) წარმოადგენს. სხვა რისკ-ფაქტორებია: შენობის შიდა ჰაერის დაბინძურება, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, პროფესიული მტვერი და ქიმიური ნივთიერებები.

თავი 5.

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა*

რეპროდუქციული ჯანმრთელობის მაჩვენებლები, საქართველო


	2014	2015
ორსულთა რაოდენობა	95539	94017
ანტენატალური მომსახურებისთვის დროული მიმართვა	78.3%	82.7%
ანტენატალური 4 სრული ვიზიტით მოცვა	86.9%	88.3%
მშობიარობათა რაოდენობა	60126	58830
დროულად იმშობიარა	96.2%	82.1%
ფიზიოლოგიური მშობიარობა	57.0%	55.0%
პათოლოგიური მშობიარობა	43.0%	45.0%
მოზარდთა შობადობის მაჩვენებელი	51.5	48.6
კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მიერ მიღებული მშობიარობების წილი	99.9%	99.8%
აბორტი	33464	32428

წყარო: დკსჯეც

ორსულობა და მშობიარობა

2015 წლის განმავლობაში ქალთა კონსულტაციებში აღრიცხვაზე იმყოფებოდა 94017 ორსული. უკანასკნელ წლებში, ანტენატალურ სერვისებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის ზრდამ განაპირობა ორსულთა დროული მიმართვიანობის (ორსულობის 12 კვირის ვადამდე) მატება (სურათი 5.1).

სურათი 5.1 ორსულობის პირველ ტრიმესტრში ანტენატალურ მეთვალყურეობაზე აყვანილ ორსულთა წილი (%)



წყარო: დკსჯეც

* *დამატებითი ინფორმაცია იხილეთ I თავში.*

ორსულების 91% გამოკვლეულ იქნა რეზუს-ფაქტორზე, 89.2% - სიფილისზე, 89.0% - აივ-ინფექციაზე, და 88.7% - B ვირუსულ ჰეპატიტზე.

“დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის” სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სწრაფი მარტივი მეთოდით ,,B“ ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსსა და სიფილისზე გამოკვლეულია 37476 ორსულის სისხლის შრატი. 2015 წლის ნოემბრიდან სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სკრინინგის კომპონენტს დაემატა ორსულთა გამოკვლევა „C“ ჰეპატიტზე და გამოკვლეულ იქნა 1836 ორსული (პროგრამის ბენეფიციართა 9.3%).

“დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის” სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 866 HBS Ag დადებითი სისხლის შრატი „იფა“ მეთოდით გადამოწმებულ იქნა დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თბილისის, ქუთაისის, კახეთის, შიდა ქართლის და ბათუმის ლაბორატორიებში. გადამოწმების შედეგად 403 ორსულის სისხლის შრატი აღმოჩნდა HBS Ag დადებითი.

პროგრამის ფარგლებში ანტენატალური სკრინინგი თანდაყოლილ გენეტიკურ ანომალიებზე ჩაუტარდა ორსულთა 5.9%.


დაავადებებს შორის, რომელიც წინ უსწრებს ან ვითარდება მიმდინარე ორსულობის პერიოდში და ართულებს ორსულობას, მშობიარობას და ლოგინობის ხანას, ყველაზე დიდი წილი უკავია ანემიას (29%), შარდ-სასქესო სისტემის დაავადებებს (16%) და ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიას (12%). საანგარიშო პერიოდში ორსულობის პათოლოგიის გამო ჰოსპიტალიზებული იყო 3269 ქალი (ორსულთა კონტინგენტის 3.5%).
სამედიცინო დაწესებულებების მონაცემებით, 2015 წლის განმავლობაში რეგისტრირებულია 58830 მშობიარობა, მათ შორის 142 - ბინაზე.

მშობიარობების და მშობიარობისშემდგომი გართულებების თვალსაზრისით, 2015 წელს მშობიარობათა 5.5% გართულდა შორისის ჩახევით, რაც მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომი პერიოდის გართულებებს შორის 26%-ს შეადგენდა; 4% - ნაყოფის არასწორი ან წინამდებარეობით, რაც მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომი პერიოდის გართულებებს შორის 19.5%-ს შეადგენდა. მშობიარობათა 2.6% მიმდინარეობდა ანემიის ფონზე, რაც მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომი პერიოდის გართულებების შორის 12%-ს შეადგენდა. მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომი პერიოდის ინფექციების წილი 0.1%-ს შეადგენდა მშობიარობათა საერთო რაოდენობაში. 2015 წელს საკეისრო კვეთის შემდგომი პერიტონიტის არც ერთი შემთხვევა არ არის რეგისტრირებული.

საკეისრო კვეთა

საქართველოში საკეისრო კვეთით მიმდინარე მშობიარობების წილი 2000 წლიდან 4.3-ჯერ გაიზარდა და 2015 წელს მშობიარობათა საერთო რაოდენობის 41.4% შეადგინა (სურათი 5.2).

სურათი 5.2 საკეისრო კვეთა, მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე




წყარო: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“

2013 წელს სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა საკეისრო კვეთის მართვის პროტოკოლი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია საკეისრო კვეთის ჩვენებები და უკუჩვენებები, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში საკეისრო კვეთების სათანადო მართვას.

აბორტი

2015 წელს გაგრძელდა აბორტების საერთო რაოდენობის კლების ტენდენცია (სურათი 5.3). საანგარიშო წელს აღირიცხა 32428 აბორტი, მათ შორის 7318 თვითნებური (22.6%) და 25110 ხელოვნური (77.4%). თვითნებური აბორტების საერთო რაოდენობიდან 6500 (88.8%) აღირიცხა ორსულობის 12 კვირამდე. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ასევე კლებულობს 20 წლამდე ასაკის ქალების მიერ გაკეთებული ხელოვნური აბორტების მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე.


სურათი 5.3 ხელოვნური აბორტის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე



წყარო: დკსჯეც; ჯანმოს მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“

ხელოვნური აბორტის ჯამობრივი კოეფიციენტი (Total Induced Abortion Rate - TIAR) 1.0-ს შეადგენდა (სურათი 5.4).

სურათი 5.4 ხელოვნური აბორტის ჯამობრივი კოეფიციენტი (TIAR), საქართველო



ხელოვნური აბორტის მეთოდის მიხედვით 2015 წელს მედიკამენტური აბორტების წილი გაზრდილია.

ორსულობის შეწყვეტის მეთოდები, საქართველო

	2012	2013	2014	2015
ხელოვნური აბორტების საერთო რაოდენობა	33688	30726	27637	25110
ორსულობის შეწყვეტის მეთოდი:				
გამოფხეკვა (კიურეტაჟი)	57.3	49.8	46.0	53.1
ვაკუუმ ასპირაცია	47.3%	49.8%	47.3	36.3
მედიკამენტური აბორტი	11.8	21.2	28.1%	39.6%

დედათა სიკვდილიანობა

2015 წელს აღირიცხა დედათა გარდაცვალების 21 შემთხვევა (პირდაპირი და არაპირდაპირი მიზეზებით), მათ შორის 19 ადრეული (ორსულობის ან ორსულობის დასრულებიდან 42 დღის პერიოდში) და 2 გვიანი (ორსულობის დასრულებიდან 43-365 დღის პერიოდში). დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100000 ცოცხალშობილზე - 32 (მაჩვენებელი დათვლილია 19 შემთხვევაზე).

დედათა გარდაცვალების 19 შემთხვევიდან 57.9% განპირობებული იყო პირდაპირი მიზეზებით, 26.3% - არაპირდაპირი მიზეზებით და 15.8%-ში მიზეზის იდენტიფიცირება ვერ მოხდა.

დედათა სიკვდილიანობის სტრუქტურა შემდეგნაირია: 21% სისხლდენა მშობიარობის და მშობიარობის შემდგომ პერიოდში, 10.5% - ინფექცია, 5.3% - პრეეკლამფსია და 5.3% - სამეანო ემბოლია.

არაპირდაპირი მიზეზებით გამოწვეული დედის გარდაცვალების 3 შემთხვევიდან 2 განპირობებული იყო რესპირაციული სისტემის ავადმყოფობებით, 1 კი - კარდიოვასკულური სისტემის ავადმყოფობით.
დედის 2 გვიანი გარდაცვალების მიზეზები იყო მშობიარობისშემდგომი დეპრესიით განპირობებული თვითდაზიანება და თავის ტვინის ანევრიზმა.

ცოცხლადშობადობა


სამედიცინო დაწესებულებების მონაცემებით, 2015 წელს საქართველოში ცოცხალი დაიბადა 58966 ბავშვი, მათ შორის 106 - ბინაზე. დემოგრაფიული სტატისტიკის მონაცემებით ქვეყანაში 2015 წელს ცოცხლად დაიბადა 59249 ბავშვი. სხვაობა ცოცხალშობილთა რაოდენობაში განპირობებულია ბინაზე მშობიარობის რეგისტრაციის ხარვეზებით.

სამშობიარო სახლებში დაბადებულ ცოცხალშობილთა 6% წონანაკლული, ხოლო 8% - 4000 გრამზე მეტი წონის იყო.
სამშობიარო სახლების მონაცემებით, ცოცხალშობილთა 11.1% დაიბადა ავადმყოფი ან გახდა ავად. ავადმყოფობათა სტრუქტურაში 90.3% პერინატალურ პერიოდში წარმოქმნილ მდგომარეობებზე და 8.8% თანდაყოლილ ანომალიებზე მოდიოდა.

მკვდრადშობადობა

საქართველოში, ბოლო ათწლეულის განმავლობაში მკვდრადშობადობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით მაღალი რჩება, ხოლო მკვდრადშობადობის მიზეზების შესწავლა კვლავ გამოწვევად რჩება. 2015 წელს დაფიქსირდა მკვდრადშობადობის 589 შემთხვევა და მკვდრადშობადობის მაჩვენებელმა 1000 დაბადებულზე 9.8 შეადგინა. 2006 წელთან შედარებით, 2015 წელს ქვეყანაში მკვდრადშობადობის მაჩვენებელი 1000 დაბადებულზე 17-დან 10-მდე შემცირდა (სურათი 5.5).

სურათი 5.5 მკვდრადშობადობის მაჩვენებელი 1000 დაბადებულზე, საქართველო




წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს და დაავადებათა კონტროლის ცენტრის ერთობლივი აქტივობების შედეგად მოხდა მკვდრადშობადობის შემთხვევათა გადამოწმება და შეჯერება, და ასევე ისტორიების შესწავლა. სამედიცინო ჩანაწერების თანახმად, მკვდრადშობადობის 82% მოხდა ანტენატალურ პერიოდში, 14% ინტრანატალურ პერიოდში, ხოლო 4%-ში ნაყოფის გარდაცვალების დროის დადგენა სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით ვერ მოხერხდა.

ანტენატალურ პერიოდში მკვდრადშობილთა შორის 31% დაფიქსირებულ იქნა ორსულობის 22-27 კვირის ვადაზე, 27% - ორსულობის 28-33 კვირაზე, 13% და 29% შესაბამისად - 34-36 და 37-41 კვირის ორსულობის ვადაზე.

ინტრანატალურ პერიოდში გარდაცვლილ ნაყოფთა (14%) შორის, შემთხვევათა 64% დაფიქსირდა ორსულობის 22-27 კვირის ვადაზე, 16% - ორსულობის 28-33 კვირის ვადაზე, ხოლო მკვდრადშობადობის 6% და 14% შესაბამისად დადგა ორსულობის 34-36 და ≥37 კვირის ვადაზე. გესტაციური ასაკის (≥37) მკვდრადშობილთა წონა დაბადებისას იყო 2400 გრამზე მეტი (სურათი 5.6).

სურათი 5.6 მკვდრადშობადობა გესტაციური ასაკის მიხედვით, საქართველო, 2015



წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

ნეონატალური სიკვდილიანობა

ჯანმრთელობის მსოფლიოს ორგანიზაციის მონაცემებით, გლობალურად ნეონატალური სიკვდილიანობის წილი 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობაში 45%-ს შეადგენს. საქართველოში ნეონატალური სიკვდილიანობის წილმა 2015 წელს 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის 60% შეადგინა.

ნეონატალური და პერინატალური სიკვდილიანობა, საქართველო

	0-28 დღემდე 1000 ცოცხალშობილზე	0-7 დღემდე 1000 ცოცხალშობილზე	7-28 დღემდე 1000 ცოცხალშობილზე	პერინატალური სიკვდილიანობა 1000 დაბადებულზე
2010	9.6	6.6	3.0	17.4
2011	8.5	6.1	2.4	15.6
2012	9.2	6.6	2.7	17.7
2013	8.4	6.7	1.7	16.1
2014	7.2	5.1	2.1	15.5
2015	6.1	3.6	2.5	13.4

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური


0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა ავადობა და სიკვდილიანობა

2013 წლიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებამ განაპირობა სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვიანობის ზრდა, რამაც, შესაბამისად, განაპირობა ბავშვთა ავადობის მაჩვენებლების მატება. 2015 წელს საქართველოში რეგისტრირებული იყო 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა ავადობის 72005 ახალი შემთხვევა (2014 წელს - 63887), ინციდენტობის მაჩვენებელი 0-1 წლამდე ასაკის 1000 ბავშვზე – 1292.7 (2014 წელს - 1071.9). ავადობის სტრუქტურაში 59% სუნთქვის ორგანოების, 8% - ინფექციურ და პარაზიტარულ ავადმყოფობებზე მოდიოდა.

2015 წელს ჰოსპიტალური მომსახურება გაეწია 0-1 წლამდე ასაკის 23991 ბავშვს (2014 წელს - 20671), მათ შორის 13%-ს ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობების გამო, 45%-ს სასუნთქი სისტემის ავადმყოფობების გამო, 27%-ს - პერინატალურ პერიოდში განვითარებული ავადმყოფობების გამო.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გლობალური მონაცემებით, 0-1 წლამდე ასაკის ბავშვებზე 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალების შემთხვევების თითქმის 75% მოდის. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის და საქსტატის მონაცემებით, საქართველოში 2015 წელს ეს წილი 84%-ს შეადგენდა. ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყველა წყაროს მონაცემებით კლების დინამიკით ხასიათდება (სურათი 5.7).

სურათი 5.7 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე



0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა 1000 ცოცხალშობილზე, საქართველო

წყარო	2000	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2012	2013	2014	2015
დკსჯეც	21.2	18.5	18.0	18.1	18.4	14.1	14.3	14.1	12.0	10.8	10.5	8.5	8.6
საქსტატი	22.5	24.8	23.8	19.7	15.8	13.3	17.0	14.9	11.2	12.6	11.1	9.5	8.6
IGME	30.9	25.3	23.5	21.7	20.1	18.6	17.1	15.8	14.6	12.6	11.7	11.3	10.6
GERHS	41.6	-	-	21.1	-	-	-	-	14.1	-	-	-	-

0-1 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის სტრუქტურაში 67%-ს პერინატალური პერიოდის ავადმყოფობები შეადგენდა, თანდაყოლილ ანომალიებზე 21.7% მოდიოდა.

0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა ავადობა და სიკვდილიანობა

2015 წელს საქართველოში რეგისტრირებული იყო 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა ავადობის 250859 ახალი შემთხვევა (2014 წელს - 200832), ინციდენტობის მაჩვენებელი 0-5 წლამდე ასაკის 1000 ბავშვზე – 970.8 (2013 წელს - 783.3). 0-5 წლამდე ბავშვთა ავადობის სტრუქტურაში 63% სუნთქვის ორგანოების, 12% - ინფექციურ და პარაზიტარულ ავადმყოფობებზე მოდიოდა.

ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა ავადობის ძირითადი მიზეზები, 2015 წელი

	ინციდენტობა ხუთ წლამდე ასაკის 1000 ბავშვზე
სუნთქვის ორგანოების ავადმყოფობები	616.0
ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობები	114.7
ყურისა და დვრილისებრი მორჩის ავადმყოფობები	54.7
კანისა და კანქვეშა უჯრედისის ავადმყოფობები	29.2
სისხლისა და სისხლმბადი ორგანოების ავადმყოფობები	24.5
თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები	18.9
საჭმლის მომნელებელი ორგანოების ავადმყოფობები	18.5

2015 წელს ჰოსპიტალური მომსახურება გაეწია 0-5 წლამდე ასაკის 57283 ბავშვს (2014 წელს - 50807), მათ შორის 51%-ს სასუნთქი სისტემის ავადმყოფობების გამო, 19.1%-ს ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობების გამო, 10.7%-ს - პერინატალურ პერიოდში განვითარებული ავადმყოფობების გამო.

ამბულატორულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების მონაცემებით, 2015 წელს 0-15 წლის ბავშვებში რეგისტრირებული იყო ყველა კლასის ავადმყოფობათა 595689 ახალი შემთხვევა (2014 წელს - 526172), ინციდენტობის მაჩვენებელი 0-15 წლის ასაკის 1000 ბავშვზე – 61689.2. ინციდენტობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა სასუნთქი სისტემის ავადმყოფობების კლასში - 48443.3, მათ შორის მაღალი იყო ავადობა ზედა სასუნთქი გზების მწვავე რესპირაციული ინფექციებით (მაჩვენებელი - 36632.4), პნევმონიით (მაჩვენებელი - 1707.5) და ქვედა სასუნთქი გზების სხვა მწვავე რესპირაციული ინფექციებით (მაჩვენებელი - 5577.7).


საანგარიშო წელს ჰოსპიტალური მომსახურება გაეწია 0-15 წლამდე ასაკის 89838 ბავშვს (2014 წელს - 78007). ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი მაღალი იყო სასუნთქი სისტემის, ინფექციური და პარაზიტული და პერინატალურ პერიოდში განვითარებული ავადმყოფობების კლასებში.

„დაბადების“ რეგისტრი

2016 წელს ქვეყნის მასშტაბით ამოქმედდა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ანტენატალური და სამეანო მომსახურების ზედამხედველობის აღრიცხვიანობის ელექტრონული სისტემა „ორსულთა და ახალშობილთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობის ელექტრონული მოდული“ („დაბადების“ რეგისტრი). ელექტრონული მოდულის მეშვეობით ხორციელდება თითოეული ორსულის უწყვეტი მონიტორინგი პირველი ანტენატალური ვიზიტიდან მშობიარობის ჩათვლით.

სისტემაში ასევე ფიქსირდება მონაცემები ახალშობილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დაბადებისას. იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას გააჩნია დაბადების რეგისტრი, ეს ინიციატივა საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

2016 წლის 9 თვის წინასწარი მონაცემებით, რეგისტრის მეშვეობით აღრიცხულია: მშობიარობა - 39087, აბორტი - 28065, ცოცხალშობილი - 38902, მკვდრადშობილი - 323.



თავი 6.

რისკ-ფაქტორები

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, საქართველო წარმოადგენს თამბაქოს ერთ-ერთ ყველაზე მაღალი მოხმარების ქვეყანას როგორც ევროპის რეგიონში, ისე მთელ მსოფლიოში (მამაკაცთა 55% და ქალთა 5% მწეველია), ალკოჰოლის მოხმარების დონე კი პრობლემატურად არ ითვლება. 2015 წელს ჩატარებული C ჰეპატიტის კვლევის მონაცემებით (CDC/Atlanta, CDC-FETP, NCDC, 2015) ქვეყანაში ამჟამინდელი ყოველდღიური მწეველობა - 27.1% შეადგენს (კაცი - 51.7%; ქალი - 6.0%).

